# ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/ Akhali Ganatleba

№13 (927) გამოდის 1998 წლიდან

22-28.04.2021




## პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადებში ცვლილება შევიდა

➡ სსსმ მოსწავლეების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადა 5 ივნისამდე გახანგრძლივდა.

➡ პირველკლასელთა რეგისტრაციის II ეტაპი 2021 წლის 20 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით განხორციელდება.

## ანა ონოფრიშვილის ოქროს მედალი




➡ გვ. 5

## არსებობის მარადისობა აკაკის „გამზრდელის“ მიხედვით



➡ გვ. 6

## სივრცე, რომელმაც ბავშვებისთვის თვითრეალიზების შესაძლებლობა შექმნა

საქართველოს ახალგაზრდული აკადემია



➡ გვ. 9


2 ლალი თვალაბეიშვილი
*დავუმეგობრდეთ ინტერნეტს და ვისწავლოთ მისი უსაფრთხოდ მოხმარება*

3 მაკა ყიფიანი
*მასწავლებელთა ჯგუფებში კარგი პრაქტიკა დამკვიდრდა – კოლეგები ერთმანეთს საუკეთესო გამოცდილებას უზიარებენ*

10 ანა ფირცხალაიშვილი
*როგორ უმკლავდებიან საქართველოში ბავშვები და მშობლები ფინანსური კრიზისის ზეგავლენას*

კიბერ უსაფრთხოება

# დავუმეგობრდეთ ინტერნეტს და ვისწავლოთ მისი უსაფრთხოდ მოხმარება

**ლალი თვალაბეიშვილი**

კოვიდ პანდემიის გამო, საზოგადოების თითქმის ყველა ჯგუფის დისტანციური საქმიანობის რეჟიმზე გადასვლამ კიდევ უფრო გაზარდა კიბერ უსაფრთხოების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების საჭიროება. ორიოდე წლის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ინტერნეტ უსაფრთხოება ასეთი დიდი დოზით შემოიჭრებოდა ჩვენი ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამდენად აქტუალური გახდებოდა თითოეული მოსწავლისთვის, მშობლისთვის, მასწავლებლისთვის, ზოგადად, საზოგადოებისთვის.

ინტერნეტმა, ერთი მხრივ, ბევრად გაამარტივა ჩვენი ცხოვრება – შესაძლებელია ნებისმიერი ინფორმაციის ძალიან სწრაფად მოძიება, გადაცემა თუ მიღება, მეორე მხრივ კი, ამ პროცესებს თან სდევს კიბერ საფრთხეები, რომელთა ცოდნა აუცილებელია.

World Vision საქართველოს „თბილისის ურბანული განვითარების" პროგრამის ფარგლებში, მომზადდა ინტერნეტ უსაფრთხოების გზამკვლევი, სამ ნაწილად: **6-11 წლის მოსწავლეებისთვის, 12-18 წლის მოსწავლეებისთვის** და **მშობლებისთვის/მასწავლებლებისთვის.** ავტორები განიხილავენ შემდეგ საკითხებს: თამაშზე დამოკიდებულება, სოციალურ ქსელში ქცევის წესები, მავნე პროგრამები, თაღლითობა ინტერნეტში და სხვ. ამ საინტერესო და საჭირო რესურსის შექმნაზე მუშაობდნენ კავკასიის უნივერსიტეტის კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტები – მაქსიმ იავიჩი და გიორგი იაშვილი.

*„პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბავშვთა დაცვა ინტერნეტ სივრცეში, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც განათლების სისტემა მთლიანად ონლაინ რეჟიმზე გადავიდა. სამწუხაროდ, ამ გამოწვევისთვის მზად არ აღმოვჩნდით, პირველ რიგში უფროსები, განსხვავებით სხვა სივრცეებისა და გარემოსი, სადაც მეტ-ნაკლები წარმატებით ვახერხებთ ბავშვების დაცვას. ამ გამოწვევის საპასუხოდ შეიქმნა ეს გზამკვლევები,* – ამბობს World Vision საქართველოს ურბანული განვითარების პროგრამის მენეჯერი ნათია მჟავანაძე, – *ჩვენ ვითანამშრომლეთ კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორებთან, პროფესორებთან – მაქსიმ იავიჩთან და გიორგი იაშვილთან, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის კიბერ უსაფრთხოების მიმართულების გარდა, ასევე წარმოადგენენ სამეცნიერო კიბერ უსაფრთხოების ასოციაციას – ბატონი მაქსიმი ასოციაციის პრეზიდენტია, ხოლო ბატონი გიორგი – ტექნიკური დირექტორი. მათ ძალიან სიღრმისეული და ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ როგორც საგანმანათლებლო სივრცეში კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სამეცნიერო კვლევების, ასევე, უშუალოდ ბავშვების მომზადების მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებით."*

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ინტერნეტ უსაფრთხოების რესურსი კარგ დახმარებას გაუწევს ყველა იმ ადამიანს, ვინც დაინტერესებულია კიბერ ინტერნეტ სივრცეში ბავშვის ინტერესების დაცვით. ავტორები ეცადნენ, გზამკვლევები მაქსიმალურად მოქნილი, მოკლე და გასაგები ყოფილიყო იმ სამიზნე ჯგუფებისთვის, ვისთვისაც შეიქმნა.

**გიორგი იაშვილი:** *„გზამკვლევი გათვლილია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე, სამი სეგმენტია აღებული გამომდინარე იქიდან, რისი ცოდნაა საჭირო დღეს იმ პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, რაც არსებობს ინტერნეტში. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა იცოდნენ, რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ და ჩვენ, ჩვენი მხრიდან, როგორც უფროსებმა, როგორც მშობლებმა, როგორც მასწავლებლებმა ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ. ზუსტად ამ თემატიკის მიხედვით შემუშავდა გზამკვლევები და საკითხებიც ამის მიხედვითაა დალაგებული."*

***გადავიდეთ უშუალოდ შინაარსზე***






➪ **გზამკვლევი 6-11 წლის მოსწავლეებისთვის** მოიცავს დღეისათვის ყველაზე აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ეხება ინტერნეტ უსაფრთხოებას – რა არის ზოგადად ინტერნეტი, ვინ ვართ ჩვენ ინტერნეტში, რას წარმოვადგენთ, რა არის სოციალური ქსელები, რა ურთიერთქმედებაში ვართ, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი პაროლების კონფიდენციალურობა, ასევე, ინტერნეტში არსებული საფრთხეები, სხვადასხვა ტიპის დამცირება (მათ შორის, დღეს ძალიან გავრცელებული კიბერ ბულინგის სახით), მავნე პროგრამები, რამდენად მნიშვნელოვანია პირადი ინფორმაციის დაცულობა და რატომ შეიძლება ეს ყველაფერი საინტერესო იყოს ბოროტმოქმედისთვის.

დღეს ბავშვს ადრეული ასაკიდანვე აქვს შეხება ინტერნეტთან და ზოგადად ტექნოლოგიებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო და უფრო მეტი საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ამ კომუნიკაციისას. გზამკვლევში რეალურადაა აღწერილი ეს საფრთხეები – რა ტიპის თავდასხმები არსებობს კონკრეტულად ბავშვებზე ორიენტირებული და ზოგადად, რისთვის უნდა იყვნენ მზად, რა უნდა იცოდნენ 6-11 წლის მოსწავლეებმა.

ბულინგი, ზოგადად, ადრეულ ასაკში და მოზარდებში, დღესდღეობით, სამწუხაროდ, ძალიან ხშირი და პოპულარული მოვლენაა. ბუნებრივია, სხვა პროცესებთან ერთად, ესეც გადადის ონლაინ სამყაროში და თანდათან სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება ბევრი ხელსაწყო, მეტი შესაძლებლობა, რომ ტექნოლოგიები გამოყენებული იყოს ცუდი მიზნებისთვის, მათ შორის, კიბერ ბულინგისთვის. ბავშვები სხვადასხვა ინტერნეტ პლატფორმებს, სოციალურ ქსელებს იყენებენ ერთმანეთის მიმართ არც თუ მთლად სასიამოვნო კომუნიკაციისთვის. ამაზე გზამკვლევში საკმაოდ დიდი ყურადღებაა გამახვილებული, დეტალურადაა აღწერილი კიბერ ბულინგის შემთხვევები, როგორ შეიძლება ვებრძოლოთ მას, რა ზომები მივიღოთ და, ზოგადად, ბავშვის მხრიდან, როგორ უნდა იყოს ეს სიტუაცია სწორად აღქმული, რომ მაქსიმალურად იყოს ამისათვის მზად, ხედავდეს, რა შეიძლება ელოდეს ინტერნეტში.

არსებობს ე.წ. კიბერ ეთიკა, ზოგადი ქცევები ინტერნეტში, რომელსაც ადრეული ასაკიდანვე უნდა გავაცნოთ ბავშვი, რომ იცოდეს, როგორ მოიქცეს ინტერნეტში, რის გაკეთებას მოერიდოს, რა არის დასაშვები და რა არა.

უსაფრთხოების ერთ-ერთი საკვანძო მომენტია პაროლები, გზამკვლევში ახსნილია ძლიერი პაროლის მნიშვნელობა და რა კავშირშია ის ჩვენს უსაფრთხოებასთან. აუცილებელია, ბავშვს ეს თავიდანვე ესმოდეს, როდესაც იწყებს კომუნიკაციას ტექნოლოგიასთან და ზოგადად, ინტერნეტთან შეხებას.

კიდევ ერთი აქტუალური საკითხი – თამაშებზე დამოკიდებულება. დღეს ეს მწვავე თემაა, ბავშვები იმდენად არიან ჩართულები თამაშის პროცესში, რომ ატარებენ საათებს, დღეებს და სხვა მიმართულებით, მათ შორის სწავლის, ინტერესი ეკარგებათ. გზამკვლევში მოცემულია რჩევები, რა არის მნიშვნელოვანი, რას უნდა მიაქციოს ყურადღება ბავშვმა, რომ არ გახდეს დამოკიდებული თამაშზე, ელემენტარულად გაარჩიოს სად არის თამაში და სად რეალობა, სად გადის ის ზღვარი, რომლის გადაკვეთაც კარგს არაფერს მოუტანს.

გზამკვლევი რეალურ დახმარებას გაუწევს 6-12 წლის მოსწავლეებს, რომ მათი ურთიერთობა ინტერნეტთან სწორი მიმართულებით წავიდეს და სწორად განვითარდეს.

➪ **შემდეგი ასაკობრივი ჯგუფისთვის – 12-დან 18 წლამდე –** ცოტა სხვა კუთხით არის ეს ყველაფერი გადმოცემული. პირველ რიგში, შესავალში, ზოგადად კიბერ უსაფრთხოების მნიშვნელობა და გამოწვევებია აღწერილი, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი კონკრეტულად ამ ასაკის მოზარდებისთვის. წინა ასაკობრივი ჯგუფისგან განსხვავებით, მათ ხომ სხვა ინტერესები აქვთ და ავტორების მიდგომაც სხვაგვარია.

ადამიანის იდენტობა ინტერნეტში, რას წარმოადგენს მისი პროფილი, რა როლს თამაშობს კონკრეტულად ეს ერთი ადამიანი, როგორც ინდივიდუმი, ინტერნეტის ცხოვრებაში, ზოგადად, კომუნიკაციის თვალსაზრისით – მოზარდი ამას ძალიან კარგად უნდა ხვდებოდეს, როდესაც იწყებს ინტერნეტ კომუნიკაციას.

ამ ასაკობრივ ჯგუფშიც ძალიან მნიშვნელოვანია კიბერ ბულინგი, რადგან დღეს, სამწუხაროდ, გახშირდა ერთმანეთის დამცირების, შეურაცხყოფის შემთხვევები. გზამკვლევში დეტალურადაა აღწერილი, პირველ რიგში, როგორ აღმოვაჩინოთ ინტერნეტში კიბერ ბულინგის ნიშნები, როგორ ვებრძოლოთ მას, რა რეაქცია გვქონდეს და როგორ მოვიქცეთ, თუ, პირობითად, ჩვენი მეგობარია კიბერბულინგში მონაწილე და რა მოვიმოქმედოთ, როდესაც ამ მოვლენას პრაქტიკულად შევეხებით. ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა.

კვლავ აქტუალურია ონლაინ თამაშები, სხვა ტიპის აქტივობები და მათზე დამოკიდებულება ინტერნეტში, რადგან ხშირად, ახალგაზრდები, მოზარდები კარგავენ რეალობის განცდას, მაქსიმალურად არიან გადასული თამაშის რეჟიმზე და ყურადღებას არ აქცევენ მათ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს. გზამკვლევში საკმაოდ ნათლად არის დემონსტრირებული რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მოზარდი, როდესაც დროს მუდმივად ონლაინ თამაშებში ატარებს, რისთვის უნდა იყოს მზად.

უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი ხელსაწყო იყო და რჩება პაროლი, იქნება ეს ინტერნეტ თამაში თუ სოციალური ქსელი. გზამკვლევის კონკრეტულ თავში ამაზეც მიდის საუბარი, თუ რამდენად საჭიროა მოზარდის უსაფრთხოებისთვის ძლიერი პაროლი და ძალიან დეტალურადაა აღწერილი, სხვადასხვა ტიპის მითითებებით, როგორ შეიძლება ამის გაკეთება. ცალკე საუბარია მის მნიშვნელობაზე, პრაქტიკული მაგალითებით.

ძალიან მწვავე პრობლემაა მავნე პროგრამები და თანამედროვე ვირუსები, გზამკვლევში ამაზეც მიდის საუბარი – რა შეიძლება იყოს გამომწვევი მიზეზი, როგორ შეიძლება მივიღოთ ვირუსი ჩვენს კომპიუტერში, რა იქნება შედეგი და რა უსაფრთხოების პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ. ერთ-ერთი საინტერესო მომენტია თანამედროვე თაღლითური სქემები, რადგან კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისთვის შეიძლება შერჩეული იყოს კონკრეტული მიზანმიმართული თავდასხმები, ამიტომ აუცილებელია იმის ცოდნა თუ როგორ შეიძლება მოტყუვდეს მოზარდი, რას არ უნდა დაუჯეროს, არ წამოეგოს.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია ტექნოლოგიისგან დასვენება – როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან ხშირად მოზარდი კარგავს რეალობის შეგრძნებას და მუდმივად უნდა, რომ ჩართული იყოს თამაშში, ინტერნეტ პროცესებში. ამასთან დაკავშირებით კონკრეტული შემთხვევებია მოყვანილი და კონკრეტული მითითებებია, როგორ შეიძლება ამის დაბალანსება, რომ ადამიანი ვირტუალურ სამყაროში, ასე ვთქვათ, არ „დაიკარგოს".

➪ **ზრდასრულებისთვის გზამკვლევში** წერტილოვან თემებზეა საუბარი, რა უნდა ვიცოდეთ, ზოგადად, როგორც მშობლებმა, როგორც მასწავლებლებმა, როგორც ზრდასრულმა ადამიანებმა ინტერნეტის შესახებ, რა არის ის მნიშვნელოვანი საკითხები, რასაც უნდა ვითვალისწინებდეთ. ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო რთული ხდება ბავშვებისა და მოზარდების კონტროლი ინტერნეტში, შესაბამისად, ამ წესების შესახებ ჩვენ ძალიან კარგი წარმოდგენა უნდა გვქონდეს, ვიცოდეთ რა პრინციპებით მუშაობს სხვადასხვა მექანიზმი, სად შეიძლება მოვტყუვდეთ ჩვენ და ჩვენი ბავშვები.

კიბერ ბულინგი და მისი ნიშნები მშობლების, ზრდასრულების მხრიდან ასევე მოითხოვს დიდ ყურადრებას, რომ დროულად შევამჩნიოთ, ვიცოდეთ რა მოვიმოქმედოთ და როგორ ვუშველოთ ბავშვს იმ შემთხვევაში, თუ ის კიბერ ბულინგის მსხვერპლი გახდა ან თავად მონაწილეობს სხვის ბულინგში. მნიშვნელოვანია, დროულად ჩავერთოთ ამ პროცესებში.

აუცილებლად უნდა ვიცნობდეთ უახლეს ტენდენციებსა და ტრენდებს, რა არის დღეს პოპულარული ინტერნეტში, რომ გავიგოთ რა აინტერესებთ ბავშვებს, მოზარდებს, რა ტენდენციებს მიჰყვებიან. ამ საკითხებს გზამკვლევში ზრდასრულებისთვის კონკრეტული თავი ეთმობა.

ავტორები გვაწვდიან ზოგად ინფორმაციას იმაზე, თუ რა არის ინტერნეტ დამოკიდებულება, როგორია მისი ნიშნები, როგორ შეიძლება პრევენცია. მოტანილია კონკრეტული რეკომენდაციები, როგორ შევძლოთ ამ კუთხით ბავშვთან კომუნიკაცია ისე, რომ მაქსიმალურად დაცულად და უსაფრთხოდ წარვმართოთ ეს პროცესები. უნდა ვეცადოთ, მუდმივად იყოს ბალანსი – მომხმარებელმა (ამ შემთხვევაში, ბავშვმა) უნდა იცოდეს რა დროს რა უნდა გამოიყენოს და ამაში ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ. მათ შორის, ვეცადოთ, ბავშვი სწორ გზაზე დავაყენოთ, რომ იგივე ტექნოლოგიები გამოყენებული იყოს განათლებისთვის, იმისთვის, რომ ბავშვი განვითარდეს და სწორი გზა, მიმართულება აირჩიოს. ეს, დიდწილად, ზრდასრულ ადამიანებზეა დამოკიდებული და ძალიან კარგად უნდა გვესმოდეს, საჭირო დროს როგორ დავეხმაროთ, დაველაპარაკოთ, კონკრეტულად დავალაგოთ არსებული ვითარება.

ძლიერი პაროლები ამ ასაკობრივი ჯგუფისთვისაც აქტუალურია და კარგად უნდა გვესმოდეს ამის მნიშვნელობა. კონკრეტულ თავში მოყვანილია მითითებები, როგორ ვიმუშაოთ ძლიერ პაროლებთან, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ჩვენი და ჩვენი ბავშვების უსაფრთხოებისთვის.

კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი – კიბერ უსაფრთხოება საქართველოში. გზამკვლევში აღწერილია ის კონკრეტული საკანონმდებლო ზომები კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს და რის შესახებაც ჩვენ, ზრდასრულებმა აუცილებლად უნდა ვიცოდეთ.

მაქსიმ იავიჩი აღნიშნავს, რომ კიბერ უსაფრთხოებაზე საუბრისას, პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია, გვესმოდეს კონკრეტული განსხვავება პროგრამისტსა და კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტს შორის: *„ძალიან ხშირად, ორგანიზაციებში კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტების საქმეს პროგრამისტებს ავალებენ. ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა, რადგან*

## კიბერ უსაფრთხოება

*პროგრამისტები და კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტები განსხვავებული სპექტრის ხალხია. პროგრამისტი კონკრეტულად იმაზეა ორიენტირებული, რომ პროგრამულმა უზრუნველყოფამ, რომელიც მან დაწერა, სწორად იმუშაოს; ხოლო კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტი, იგივე ჰაკერი (ჰაკერი და კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტი გავაერთიანოთ, იმიტომ რომ, სიმართლე გითხრათ, ორივე დაახლოებით ერთი და იგივეა) ორიენტირებულია პროგრამის შეცდომებზე, ცდილობს იპოვოს ისეთი რაღაც, რაც ზედმეტია სისტემაში. კონფიდენციალობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა – ეს არის ის სამი რამ, რის გაფუჭებასაც ცდილობს ჰაკერი. მისი სამიზნეა კომუნიკაციის დღევანდელი სისტემები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, ცდილობს კონკრეტულად ჩვენი პლატფორმების გატეხვას.*

*მაგალითად, 2020 წლის 22 აპრილს, შეტევა მოხდა ზუმზე, რომელიც ფართო მოხმარების პლატფორმაა. მსგავსი შეტევა განხორციელდა სკაიპზეც, რომელიც ასევე ძალიან აქტუალური პლატფორმაა. შემდეგ იყო საინტერესო შეტევა მაიქროსოფტ თიმსზე – მომხმარებლებს დაეგზავნათ ინფორმაცია, რომ ახალი ვერსია გამოვიდა, ისინიც სიხარულით შეხვდნენ ამ სიახლეს, სინამდვილეში კი გადმოტვირთეს ვირუსი და საკუთარი ხელით დააყენეს თავიანთ კომპიუტერებზე მავნე პროგრამები.“*

მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია და ამ გამოწვევების ცოდნა მნიშვნელოვანია როგორც ზრდასრულებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის, ყველასთვის, ვისაც ხშირად უწევს ინტერნეტში ყოფნა სასწავლო, საგანმანათლებლო ან გართობის მიზნით, მეგობრებთან საკომუნიკაციოდ თუ სხვ.

გზამკვლევის ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ მათ მიერ მომზადებული რესურსი ხელს შეუწყობს იმ ადამიანთა რაოდენობის ზრდას, ვინც სასარგებლოდ იყენებს ინტერნეტს. *„ძალიან ხშირად ინტერნეტს საფრთხედ წარმოვაჩენთ, ამავდროულად, ეს ძალიან დიდი შესაძლებლობაა და ჩვენი უპირატესი ამოცანა, როგორც ზრდასრულების, ბავშვებთან მომუშავე ადამიანების იმაშია, რომ ეს შესაძლებლობა ბავშვის განვითარების მნიშვნელოვან წყაროდ ვაქციოთ. თუ, ერთი მხრივ, არსებობს ინტერნეტ დამოკიდებულება, მეორე მხრივ, არის უზღვავი შესაძლებლობები განვითარებისთვის, განათლებისთვის და, ალბათ, ჩვენი ეპოქის გამოწვევა ზუსტად ეს არის – დავინახოთ ეს შესაძლებლობა და მაქსიმალურად დაცულებმა, უსაფრთხოდ მოვახერხოთ ამ შანსის გამოყენება.“* – ამბობს ნათია მჟავანაძე.

პანდემიის პერიოდში, როდესაც ინტერნეტი განათლების მიღების უპირატეს შესაძლებლობად იქცა, ახალი გზამკვლევი დაეხმარება საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს, გარკვეული ცოდნა და გამოცდილება შეიძინონ, დაუმეგობრდნენ ინტერნეტს და ისწავლონ მისი უსაფრთხოდ მოხმარების წესები.

გზამკვლევები ხელმისაწვდომი იქნება World Vision საქართველოს ვებგვერდზე. ავტორები მზად არიან სხვადასხვა ჯგუფებთან, სკოლებთან თუ დაწესებულებებთან თანამშრომლობისთვის. პარტნიორ სკოლებში ტრენინგების ციკლიც იგეგმება, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის: *„რაც უფრო მეტად ვითანამშრომლებთ და გავაერთიანებთ ჩვენს რესურსებსა და შესაძლებლობებს, მით უფრო მეტად გაიზრდება ჩვენი შესაძლებლობები და უფრო მეტი ადამიანი იგრძნობს თავს დაცულად ამ სივრცეში“.*

## დისკუსია განათლებაზე

# მასწავლებელთა ჯგუფებში კარგი პრაქტიკა დამკვიდრდა – კოლეგები ერთმანეთს საუკეთესო გამოცდილებას უზიარებენ

**მანია ქასოშვილი**
***მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარდახის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის წამყვანი მასწავლებელი***

✔ მისასალმებელია, რომ „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესის“ სახით ერთიანი დოკუმენტი გვექნება. ვფიქრობ, ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. ამის საჭიროება გამოჩნდა მასწავლებლების იმ უარყოფითი მუხტიდან, რომელსაც სოციალურ ქსელში ვაწყდებით მას შემდეგ, რაც დაიწყო შეხვედრები მასწავლებლებთან.

✔ ხაზგასმით დასადგენია, რა და როგორ უნდა შეიცვალოს. მასწავლებელი ყოველდღიურად უნდა იკვლევდეს, აკვირდებოდეს, სწავლობდეს... სამწუხაროა, რომ კვლევების „კვლევით“ დაადგინეს, რომ მასწავლებლების ნაწილმა ეს კვლევა იყიდა, გადაიწერა სხვისგან და რა გარანტიაა, რომ ისევ ასე არ მოხდება.

✔ თითოეულმა მასწავლებელმა სტატუსის შეცვლაში უამრავი დრო და ენერგია ჩადო, დამსახურებულად მივიღეთ სტატუსები და მას საფრთხე აღარ უნდა ემუქრებოდეს. სტატუსი ნამდვილად მუდმივი უნდა იყოს და ეს ასეცაა ამჟამად მოქმედ სქემაში. რაც შეეხება სავალდებულო აქტივობებს, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მასწავლებლები გაკვეთილებს სულ ვატარებთ, როდესაც მოისურვებენ, შემობრძანდნენ და დაგვესწრონ. დარწმუნებული ვარ, ჩასაფრების და გამოჭერის მიზნით არავინ შემოვა. ამის თქმის უფლებას მაძლევს ჩემი 13-წლიანი დირექტორობის სტაჟი. მასწავლებლის მხარდაჭერის გარდა, ჩემს დასწრებას გაკვეთილებზე სხვა მიზანი არ ჰქონია, თუნდაც მაშინ, როდესაც შიდა გაკვეთილები ტარდებოდა.

✔ სხვადასხვა კრედიტიან მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თუ არა ერთნაირი სტატუსი – ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება ხმამაღლა არასდროს დამიფიქსირებია, კოლეგიალური სოლიდარობის მიზნით. ისედაც ყველა მასწავლებელს ამცირებდა, რაც ძალიან დიდ პროტესტს იწვევდა ჩემში. არც ერთ მასწავლებელს კრედიტები არ უთხოვია, იდეა და შესაძლებლობა კანონით გაჩნდა და მასწავლებლებმაც გამოიყენეს ეს შანსი. მართალია, კრედიტების შესავსებად სხვა აქტივობებიც განახორციელეს, მაგრამ ჩემი აზრი ცალსახაა, საგანს, რომელსაც ასწავლი, მაღალ დონეზე უნდა ფლობდე. გასათვალისწინებელია გამოცდის თანმდევი ემოციები, განწყობა და ა.შ. ყველა კოლეგას წარმატებას ვუსურვებ, მიუხედავად განსხვავებული კრედიტებისა.

✔ რამდენად კანონიერად ხდება საათების განაწილება სკოლებში – აქაც ისევ ჩემს პრაქტიკას გადავხედავ და თამამად ვიტყვი, რომ საათებზე დავა ჩემს სკოლაში არ ყოფილა. მცირეკონტინგენტიან სკოლაში ვმუშაობ და თითო საგნის თითო მასწავლებელი გვყავს, გარდა დაწყებითი კლასებისა. მასწავლებლები კათედრაზე ვთანხმდებით და განაწილებულ საათებს ვაწვდით დირექციას. მაგრამ იმდენი შეკითხვა მომდიოდა პირად შეტყობინებებში, რომ გაოცებას ვერ ვმალავდი, როდესაც ჩემს პრაქტიკას ვუზიარებდი, ძალიან უკვირდათ, რადგან სხვა სკოლებში სხვაგვარად ხდებოდა ეს პროცესი. უჩიოდნენ დირექტორს, მის არაპროფესიონალიზმს, ზოგი რესურსცენტრებსაც სდებდა ბრალს, რომ ერეოდნენ, რაც ნამდვილად მიკვირდა. საათების განაწილება სკოლის პრეროგატივაა და გარედან არ და ვერ უნდა ერეოდნენ. ამ დროს, უმთავრესია კოლეგიალობა. როდესაც მასწავლებლები საათების გამო დავობენ, მე ეს დაბალი სასკოლო კულტურის და დირექტორის არაკვალიფიციურობის ბრალი მგონია.

✔ წამყვანი მასწავლებლის სტატუსი 2019 წლის შემოდგომაზე მომენიჭა. რა თქმა უნდა, გარე დაკვირვება გავიარე. რომ ვთქვა, რომ ამ აქტივობით სწავლა-სწავლების ხარისხი გაიზარდა, არ ვიქნები მართალი. ჩავატარე გაკვეთილი, მაგრამ მანამდე იყო ემოციები და განცდები, უნდა დაგვეწერა 5 გაკვეთილის გეგმა. იყო შემთხვევები, როდესაც ატვირთვის ვადები ერეოდათ, მერე გვესმოდა, რომ ვიღაცის გაკვეთილი 0 ქულით შეფასდა და იყო ატეხილი ერთი ამბავი (ვინ მოვა, როგორ შეგვაფასებს და ა.შ.). ახლა, როცა ეს პროცესი უკვე გავიარე, კიდევ იმავე გზის გავლის საჭიროებას ვერ ვხედავ, გაკვეთილებს ხომ ისედაც ვატარებთ და ჩვენი ყველაზე კარგი შემფასებლები ჩვენი მოსწავლეები და მათი შედეგებია.

✔ ის, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს პროფესიულ ზრდაზე, სადავო არაა, მაგრამ ამის გარანტი არაა ტრენინგი. საგნობრივი სიახლის გაცნობა და დანერგვა ტრენინგის გარეშეც შესაძლებელია. ბევრჯერ მსმენია, რომ არ არსებობს ტრენინგი, საიდანაც არაფერს წამოიღებო, მაგრამ ნამდვილად ვყოფილვარ ტრენინგზე, რომლიდანაც არაფერი მისწავლია. რა საჭიროა ყოველწლიური სავალდებულო დატრენინგება. ორი წელია, სტატუსის მონიჭების შემდეგ, არავინ მაძალებს სავალდებულო ტრენინგზე დასწრებას, მაგრამ ჩემი სურვილით ვეძებ და ვესწრები იმას, რაც მჭირდება. მასწავლებელთა ჯგუფებში უკვე კარგი პრაქტიკა დამკვიდრდა, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკას და ამას ისეთი რეზონანსი აქვს, რომ ხანდახან ჯგუფები ივსება და მსურველების ნაწილი ვერც კი ესწრება. ასე რომ, თავადაც ვეძებთ და ვპოულობთ სიახლეებს.

✔ მინახავს პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც სტატუსიანზე ბევრად უკეთეს გაკვეთილს ატარებს. განა სქემის ამოქმედებამდე, სანამ სტატუსების მიხედვით დაიწყებდნენ მასწავლებელთა განსხვავებას, არ გვყავდნენ პროფესიონალები, რომლებმაც თაობები აღზარდეს. მახსენდება ჩემი რამდენიმე მასწავლებელი. ისინი, ამ ეტაპზე სიახლედ წოდებულ აქტივობებსა და მეთოდებს, გასული საუკუნის 70-იან წლებშიც გვასწავლიდნენ. ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო. კარგი გაკვეთილის ჩატარებას სტატუსი არ უნდა. როცა წყვეტ, გახდე მასწავლებელი, აქედანვე ვალდებული ხარ, ყოველდღიურად იფიქრო ხარისხიანი, საინტერესო, მოსწავლეთა ინტერესებსა და დღევანდელობაზე მორგებული გაკვეთილი ჩაატარო.

✔ განათლების დონე რომ ისევ დაბალია, ამაზე ის საერთაშორისო კვლევებიც მიუთითებს, სადაც, სამწუხაროდ, ისევ ბოლო ადგილებზე ვართ. განათლება რომ წინ ვერ მიდის, ამის მიზეზი მარტო გაკვეთილი არაა, პრობლემა სიღრმისეულია, რასაც სასწრაფოდ უნდა შველა. საქმეს ვერც მარტო სქემა ან მისი სახე(ლ)შეცვლილი ვარიანტი უშველის.

✔ ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, სკოლაში საფეხურების გამოცდები რომ ტარდებოდეს. არც CAT-ის გამოცდების მოხსნა მომეწონა. მასწავლებლის შრომის საზომი სკოლაში ნამდვილადა არის გამოცდის, ოლიმპიადების შედეგები, ასევე, იმ უამრავი კლასგარეშე ღონისძიების ჩატარებაც, რაც არ გვაკლია.

**იზო ძოწენიძე**
***წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის და კომბინირებული დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი***

✔ ჩემი წინსვლისთვის არც ერთი აქტივობა არ წარმოადგენდა რაიმე სირთულეს, რადგან ყველაფერ ამას ისედაც ვაკეთებდი სკოლაში. უბრალოდ, მომიწია მათი დოკუმენტურად ასახვა. თუმცა, იყო ისეთი აქტივობაც, რომელსაც საკუთარი ძალებით ვერ შევასრულებდი, თუ არ მოვემზადებოდი შესაბამის სპეციალისტთან. ლაპარაკი მაქვს კვლევაზე, რომელიც ორი კერძო ტრენინგის შემდეგ ძალიან კარგად დავწერე. გამოვიყენე ჩემი პრაქტიკული გამოცდილება მოსწავლეებთან მუშაობის და მიხარია, რომ დადებითად შემიფასეს. ვფიქრობ, რომ ამ კვლევის დაწერას არაფერი შეუცვლია ჩემს პრაქტიკულ საქმიანობაში. ისევ დიდი მონდომებით ვმუშაობ და ჩემი უპირველესი გეგმაც, სქემაც, წინსვლაც და პრიორიტეტიც მხოლოდ მოსწავლეა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, რომ არა ერთი საბედისწერო 45 წუთი, რომელმაც დაანგრია როგორც ჩემი თვითშეფასება, ასევე ჩემი სკოლისადმი დამოკიდებულება. ვგულისხმობ გარე დაკვირვებას, რომელიც მიმაჩნია, რომ არც ერთი სტატუსის მასწავლებელს არ უნდა სჭირდებოდეს. სკოლა უნდა იყოს დამოუკიდებელი და დირექტორი – ისეთი კომპეტენტური, რომ მიხვდეს როგორი მასწავლებელი ჰყავს სკოლაში და რასაც გარე დამკვირვებელი ამოწმებს, თვითონ შეეძლოს და ამაზე ბიუჯეტის ფული არ უნდა იხარჯებოდეს.

სამწუხაროდ, წინსვლის შემდეგ, სტატუსის დანამატი ჩემთვის აღმოჩნდა ისეთივე „ქორფა ბალახი, როგორც ვირისათვის“. უბრალოდ, დროში ვერ ჩავეტიე. არც მინახავს დამკვირვებლის უკუკავშირი, მხოლოდ ნული კრედიტი, რომელიც დამიწერეს, იყო პასუხი იმისა, რომ არ ვვარგოდი. მეორედ გასვლაც დავაპირე, მაგრამ იმდენად ვიყავი დასტრესილი და განერვიულებული, რომ ერთი დღით დამაგვიანდა გეგმების ატვირთვა. წერილით მივმართე მასწავლებელთა სახლს თხოვნით, რომ ვერ ავტვირთე სახლიდან გეგმები და გაეხსნათ ასატვირთი ველი. პასუხი ხუთი დღის შემდეგ, იმ დღეს, მომივიდა, როცა ატვირთვის ბოლო დღე იყო – სრულიად გამართულად მუშაობდა ბაზაო.

✔ ვფიქრობ, მუდმივი არაფერი არ უნდა იყოს. არც ერთ სხვა სფეროში ხელფასს არ გასცემენ ხარისხის გარეშე, ჩვენი სფეროს გარდა. როცა ფაბრიკაში პროდუქციას წუნით გამოუშვებს მუშა, აუცილებლად ასწორებინებენ წუნს. სკოლებში გინახავთ სადმე ასეთი „წუნის“ გასწორება? დააფრიალებენ სტატუსებს და საცოდავი ბავშვები არც ანაღვლებთ. სამწუხაროდ, არც დირექტორებს ანაღვლებთ ეს, რადგან არავინ სჯის ამის გამო არც მასწავლებელს და არც დირექტორს. რაში აინტერესებს მშობელს ჩვენი სტატუსები, თუ კლასში ფეხი ფეხზე გადავიდეთ?!

ვფიქრობ, რომ მხოლოდ კრედიტების მიხედვით უნდა მიიღოს მასწავლებელმა ხელფასი. რაც შეეხება წინსვლას, მხოლოდ გამოცდით და ეს უნდა შეეხოს ყველა იმ სტატუსიანს, რომლებიც ამ სქემის წყალობით „აიჭრნენ უკვე კოსმოსში“.

✔ პირადად მე, მწვავედ განვიცდი ჩემი კოლეგების თავდასხმებს ყოველ წელს. მაქვს ორი სერტიფიკატი – მათემატიკის და კომბინირებული დაწყებითის. იმის გამო, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლების უმეტესობა კომბინირებულ გამოცდას ვერ აბარებს, ცდილობენ იმ საგნის წართმევას, რომლითაც გახდნენ წამყვანები. ჩემი სკოლის შემთხვევაში, ქართულის საათებზეა დავა. მცირეკონტინგენტიან სკოლაში გაგიგიათ ქართულის ოთხი მასწავლებელი? კიდევ კარგი, ქართული და კომბინირებული დაწყებითი კლასები სხვადასხვა საგნებად ითვლება. მივმართე დირექტორს ამ ზეწოლების შესახებ და სრულად დამაკმაყოფილა იმ საათებით, რაც კანონით მეკუთვნოდა. ის კი არა, მათემატიკის საათებიც მომცა მეორე სერტიფიკატით და მისი მადლიერი ვარ, თუმცა, სკოლას საერთოდ არ აქვს დამოუკიდებლობა.

✔ სრულად ვეთანხმები იმ აზრს, რომ გამოცდა ჩაბარებული და პრაქტიკოსი მასწავლებლებიც ერთნაირ გაკვეთილს ატარებენ. სტატუსები აისახება მხოლოდ პედაგოგის ხელფასზე და განათლების დონე ისევ დაბალია.

✔ „ახალი სკოლის მოდელი“ ჩემთვის მიუღებელია. ე.წ. კომპლექსური დავალებები ისედაც სრულდებოდა სკოლებში, ოღონდ არ სჭირდებოდა ამდენი წერა. საკვანძო შეკითხვები, რომლებსაც მასწავლებელი იქ წერს, შეუძლია კომპეტენტური ავტორის წიგნიდან ამოიღოს და „არ აღმოაჩინოს ახალი ამერიკა“. ჩვენი მოვალეობაა, მოსწავლეებს ცოდნა გადავცეთ. ამაში იხარჯება აუარებელი დრო, რომელიც ამოუწურავი რესურსი არაა. გარდა ამისა, სახლში შესრულებულ დავალებაში ვინ შევაფასო – ბებია-ბაბუები, მშობლები თუ კერძო მასწავლებლები? ჯერ ერთი, მოსწავლეებიც არათანაბარ პირობებში არიან, რადგან ყველას არ ჰყავს სახლში განათლებული მშობლები და კერძო მასწავლებლები, არც ამის საშუალება აქვთ.

ერთსაც დავამატებდი, „ახალი სკოლის მოდელში“ წინადადებები ქართველი ადამიანისათვის უცხო და გაუგებარია. არ ვგულისხმობ უცხოენოვან სიტყვებს, ბოლოს და ბოლოს, გადათარგმნი. პირდაპირ ვიტყვი, მასწავლებელთა უმეტესობა ვერ იგებს და როგორ უნდა ასწავლოს პედაგოგმა ის, რაც თვითონ არ ესმის? პასუხი თქვენთვის მომინდვია. მოვა დრო და ყველა ყველაფერს დაინახავს.

✔ გამართული განათლების რეფორმა გვექნება მაშინ, როცა მთავრობა ხელს აიღებს განათლების სისტემის მართვაზე. ამით ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვანი სფერო გათავისუფლდებოდა სახელმწიფოს მავნე ზეგავლენისაგან. რეფორმა ის იქნებოდა, თუ ხალხს ეტყოდნენ, წლების განმავლობაში სახელმწიფო განათლების კონტროლით თქვენს პირად ცხოვრებას აკონტროლებდა. ამით სწავლას ფასი დაედებოდა. ადამიანს განათლების სამინისტრო კი არ მიუთითებდა, სად და როგორ ესწავლა, არამედ თავად აირჩევდა. გაჩნდებოდა კონკურენცია სასწავლებელთა შორის, რაც, დროთა განმავლობაში, ისეთ დადებით შედეგს მოგვცემდა, რომელთა წარმოდგენაც კი შეუძლებელია, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია, დაიზოგებოდა ათეულ მილიონობით ლარი, რომელსაც დღეს სახელმწიფო სისტემის შესანახად ხარჯავს.

**მოამზადა მაკა ყიფიანმა**

უმაღლესი განათლება

# როგორ პასუხობს სპორტის უნივესიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს

*მედიცინის ყველა მიმართულება – არაგადამდები დაავადებები, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ნევროლოგია, მეან-გინეკოლოგია, სპორტის მედიცინა და სხვა – მკურნალობის მყარი რეზულტატიურობისათვის, რეაბილიტაციის სხვადასხვა ფორმებს იყენებს. სწორედ რეაბილიტაციაა მყარი გამოჯანმრთელების, შრომისუნარიანობის აღდგენის, რეციდივის პრევენციის და ინვალიდიზაციის მინიმალიზაციის საფუძველი. აქედან გამომდინარე, რეაბილიტაცია ჯანმრთელობის სფეროს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი, განვითარებადი და პერსპექტიული დარგია.*






186
აირჩიე
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

*აირჩიე სპორტის უნივერსიტეტი (186) და გახდი ჩემპიონი!*

*საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (186) აბიტურიენტებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამას სთავაზობს. პროგრამის კონკურენტული უპირატესობების შესახებ და თუ როგორ პასუხობს სპორტის უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამა თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, ვესაუბრეთ უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, ქეთევან ბერიძეს.*

**– მოსახლეობის დიდ ნაწილს, მათ შორის, სპორტსმენებს, სხვადასხვა მიზნით, ესაჭიროება სარეაბილიტაციო მომსახურება, რომლის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პაციენტისთვის. როგორ პასუხობს ამ გამოწვევას სპორტის უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამა?**

– საქართველოში რეაბილიტაციის დარგის განვითარებაში სპორტის უნივერსიტეტს დიდი წვლილი მიუძღვის, რადგან ჩვენს ქვეყანაში სწორედ აქ, 2003 წელს, გაიხსნა რეაბილიტაციის პირველი ფაკულტეტი, თუმცა, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალობით სწავლება 1970 წლიდან მიმდინარეობდა. ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობდნენ საქართველოში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

დღეისათვის, სპორტის უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება სწავლება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის აკრედიტირებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობით, მეცნიერებაზე და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ განათლებას დარგში უზრუნველყოფენ წამყვანი მეცნიერები, პრაქტიკოსი პროფესორ-მასწავლებლები და ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები. ჩვენი კურსდამთავრებულების დიდი უმრავლესობის დასაქმება სპეციალობით და არაერთი მათგანის წარმატებული მოღვაწეობა უცხოეთში, ვფიქრობ, პირდაპირი მანიშნებელია იმისა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას და პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

**– რამდენად გამოიყენება პროგრამებში მედიცინა-რეაბილიტაციის სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები/მიდგომები და რამდენად ექნებათ კურსდამთავრებულებს ჩამოყალიბებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები?**

– სპორტის უნივერსიტეტი სტუდენტებს, ბაზრის მოთხოვნების, ადგილობრივი და საერთაშორისო შემფასებლების რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილ, საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს.

უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, სწავლება ხორციელდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისა და დარგში უახლესი კვლევების საფუძველზე. სწავლის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ზოგადი, საბაზისო და ძირითადი სპეციალობების ფართო სპექტრის/მიმართულებების თეორიულ სწავლებას; ამასთან, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, აირჩიონ მათთვის საინტერესო კურსები; უნივერსიტეტში დანერგილი სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები სტუდენტებს არა მხოლოდ ღრმა სისტემურ ცოდნას აძლევს, არამედ დარგისათვის უმნიშვნელოვანეს უნარებს უყალიბებს. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო-კვლევით პროცესში. რაც შეეხება პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას – ძირითადი სპეციალობის კურსები მოიცავს პრაქტიკული უნარების შესწავლას სიმულაციების ცენტრში და შესაბამის კლინიკურ-სარეაბილიტაციო ბაზებზე; დამამთავრებელ კურსზე ერთი სემესტრი მთლიანად ეთმობა პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება/განმტკიცებას, სწავლების საფეხურის შესაბამისად. სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებას ემსახურება ჩვენი პარტნიორი, ISO სერტიფიკატის მქონე, სხვადასხვა სამედიცინო-სარეაბილიტაციო კლინიკები, მაღალი საერთაშორისო რეიტინგის წამყვანი კვლევითი ცენტრები.

სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში, სტაჟირება გაიარონ ევროპის წამყვან კლინიკებში.

**– სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა განსაკუთრებით მიმზიდველია. შეგიძლიათ, უფრო დეტალურად გვიამბოთ, როგორ უნდა ჩაერთოს სტუდენტი გაცვლით პროგრამებში, რა არის ამისთვის საჭირო?**

– უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე დარეგისტრირება შეუძლიათ მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს. პირველკურსელი სტუდენტები კონკურსს ეთიშებიან აკადემიური მოსწრების, ანუ GPA-ს გამო, რადგან მათ მიერ გავლილი საგნების რაოდენობა ვერ გვაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას მათ აკადემიურ მოსწრებაზე. მეოთხეკურსელების შემთხვევაში კი, კონკურსში მონაწილეობის შეზღუდვა უკავშირდება საბაკალავრო ნაშრომსა და პრაქტიკას, რომელსაც ისინი სწავლის ბოლო სემესტრში გადიან.

კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს სტუდენტი, რომლის GPA 2.5-ზე დაბალია. კონკურსის ფარგლებში, მან უნდა წარადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი, თუ რატომ სურს კონკრეტულ პროგრამაში მონაწილეობა და როგორ გამოიყენებს მიღებულ გამოცდილებას ჩვენს უნივერსიტეტში. ამ საფეხურის გავლის შემდეგ, მათ უტარდებათ ტესტი ინგლისური ენის ცოდნის დონის შესამოწმებლად და გასაუბრება. საბოლოოდ, ჯამდება თითოეული კომპონენტი და რანჟირების სათავეში მყოფი სტუდენტები პარტნიორ უნივერსიტეტებს წარედგინება.

გაცვლითი პროგრამა მოიცავს 1 სასწავლო სემესტრს და სრულად ფინანსდება Erasmus+-ის სასწავლო გრანტით, რომელიც მოიცავს მგზავრობის საფასურს – დაახლოებით 350 ევროს ოდენობით და სტიპენდიას – 800-900 ევროს. გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტებს, სასწავლო შეთანხმების მიხედვით, საზღვარგარეთ მიღებული კრედიტებს უღიარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

**– სად შეიძლება დასაქმდეს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კურსდამთავრებული?**

– რეაბილიტაცია ერთ-ერთი მაღალმოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი დარგია, რომელსაც პანდემიის მძიმე პერიოდშიც კი არ შეუჩერებია მუშაობა. მეტიც, საქსტატის მონაცემებით, 2019-2020 წლებში, გაიზარდა ამ სფეროში დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი და ეს არც არის გასაკვირი; დღეს შეუძლებელია დავასახელოთ მედიცინის რომელიმე მიმართულება, სადაც არ არის საჭირო სარეაბილიტაციო ჩარევა – იქნება პედიატრია, თერაპია, ნევროლოგია, გასტროენტეროლოგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, ქირურგია, გინეკოლოგია, გერონტოლოგია, სპორტული მედიცინა თუ სხვა; ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების არეალი საკმაოდ ფართოა და ვრცელდება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასა და მიმართულებაზე. პროგრამის დასრულების შემდეგ, მათ შესაძლებლობა ექნებათ, დასაქმდნენ ჯანდაცვის სისტემის სტაციონარული და ამბულატორიული ტიპის ყველა რგოლში, მრავალპროფილურ და სპეციალიზებულ სარეაბილიტაციო კლინიკებში, სპორტულ გუნდებში, სპორტულ სკოლებსა და კლუბებში, საკურორტო და ველნეს-ცენტრებში, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სარეაბილიტაციო სამსახურში, სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებაში.






ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

უმაღლესი განათლება

# აგროკონფერენცია CIU-ში

13 აპრილს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (CIU) და ჟურნალისტიკის რესურსცენტრმა, საერთაშორისო არაკომერციულ ორგანიზაციის „მერსი ქორპსი“ მხარდაჭერით, აგროჟურნალისტიკისა და აგროგანათლების საერთაშორისო კონფერენციას ონლაინ რეჟიმში უმასპინძლა. მასში მონაწილეობდნენ სამეზობლო აგროგილდიის წარმომადგენლები როგორც საქართველოდან, ისე უკრაინიდან, მოლდოვიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ასევე, ფორუმის მუშაობაში ჩაერთნენ დასავლელი კოლეგები შვეიცარიიდან, გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

შეხვედრაზე, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, დასწრება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო, რის საფუძველზეც ფორუმისადმი ინტერესი მაღალი იყო. მონაწილეთა თქმით, პანდემიით გამოწვეული ონლაინ ფორმატის მიუხედავად, კონფერენციის მუშაობა საქმიანად წარიმართა. პლენარული პანელის შემდეგ, მუშაობა სექციებში გაგრძელდა, სექციები კი თემატურად იყო დაყოფილი. გამომსვლელებმა აგროჟურნალისტიკის სწავლების მიზნებსა და აგროგანათლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

როგორც ჟურნალისტიკის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა და აგროკონფერენციის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, ნათია კუპრაშვილმა აღნიშნა, კონფერენციის მოხსენებები როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული ანალიზის ნაწილში, ძალიან მაღალ დონეს აჩვენებდა. მისივე თქმით, კონფერენციაზე წარმოდგენილი თემებით შეიქმნა ზოგადი სურათი, თუ რა ხდება აგრომიმართულებით რეგიონში.

*„აღნიშნული კონფერენცია, თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით, ძალიან მაღალი დონის იყო. ის ფაქტი, რომ ფორუმი წარმატებით შედგა, არა მხოლოდ საკუთრივ აგროჟურნალისტიკის, არამედ მთლიანად დარგის განვითარებისთვის წინგადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად შეიძლება, ჩაითვალოს. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე პარტნიორ ქვეყნებთან ერთად მსჯელობასა და, საერთო პროექტების კუთხით, პრაქტიკულ მუშაობას უფრო დიდ შედეგებზე გავყავართ, ვიდრე მხოლოდ სამეცნიერო მიზნებია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან ერთად, რომელიც თავის სახელს ზედმიწევნით ამართლებს, გამოვცემთ ჩვენს პრაქტიკულ და სამეცნიერო შრომებს“,* – აღნიშნა ნათია კუპრაშვილმა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ ნინო ჭალაგანიძის თქმით, დარგის ექსპერტებმა, მათ შორის აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, კონფერენციის მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს.

*„საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც 13 აპრილს ჩატარდა, აგროკომუნიკაციების დარგის განვითარებისკენ გადადგმული კიდევ ერთი მყარი ნაბიჯია. მოხარული ვართ, რომ კონფერენციის თემატიკით დაინტერესდნენ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები, არამედ საზღვარგარეთელი კოლეგებიც. ჩვენ ვგეგმავთ, მიღებული მოხსენებები კრებულად გამოვცეთ, რათა დარგით დაინტერესებულ მკითხველს კიდევ ერთი სასარგებლო დოკუმენტი შევთავაზოთ“,* – აღნიშნა ნინო ჭალაგანიძემ.

ALCP-ის (Alliances Caucasus Programme) ჯგუფის ხელმძღვანელმა, ელენ ბრედბერმა იმედი გამოთქვა, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ინტერპერსონალურ გარემოში შეხვედრა და აგრომიმართულების განვითარებისათვის სამომავლო გეგმების დასახვა. მისი თქმით, კონფერენციაზე გაჟღერებული მესიჯები ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო. ვიდეოსიუჟეტში ბრედბერიმ აგროჟურნალისტიკის მიმართულებით განხორციელებულ საგულისხმო პროექტებზეც ისაუბრა: 2017 წლიდან, აგროჟურნალისტიკის განვითარებისათვის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტენსიური მუშაობა დაიწყო; 2018 წელს ჩართულობა რეგიონული მასშტაბით გაიზარდა; 2019 წელს კი „კონსტრუქციული აგროჟურნალისტიკის“ ხუთენოვანი სახელმძღვანელო გამოიცა. როგორც ბრედბერმა აღნიშნა, აგროჟურნალისტიკის კურსი წარმატებით დაინერგა საქართველოს მედიასკოლებში.




საერთო ჯამში, აგროკონფერენცია რამდენიმე ძირითად მიზანს ემსახურებოდა: კავკასიის რეგიონში აგროკომუნიკაციების განვითარების წახალისებას, აგროჟურნალისტიკის სწავლებაში თანამედროვე მეთოდების დამკვიდრებას, საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების უმაღლეს სკოლებს შორის ერთიანი აკადემიური გარემოს ხელშეწყობას.

**სოსო გაზდელიანი,**
**სალომე შალიკაშვილი**

მათემატიკური ოლიმპიადა

# ანა ონოფრიშვილის ოქროს მედალი

**ლალი ჯელაძე**

დასრულდა ევროპის გოგონათა X მათემატიკური ოლიმპიადა – EGMO-2021, რომელიც წელს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, 9-15 აპრილს გაიმართა. ოლიმპიადაში მონაწილეობდა 50-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი 250-მდე მათემატიკის მოყვარული გოგონა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, თითქმის 30 წელია, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ჩართულია საერთაშორისო ოლიმპიადებში, 2021 წლამდე, ასეთი რანგის მათემატიკური ოლიმპიადისთვის არასოდეს უმასპინძლია, წელს ჩვენს ქვეყანას პირველად ერგო მასპინძლობის უფლება.

ეს უფლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2019 წელს მოიპოვა, როდესაც კიევში, EGMO 2019-ის დახურვის ცერემონიალზე, უნივერსიტეტის იმდროინდელმა რექტორმა, გიგა ღავთაძემ, პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანმა, ვლადიმერ ადეიშვილმა და საქართველოს მოსწავლე გოგონათა ნაკრების მწვრთნელმა, ივანე გოქაძემ წარადგინეს პროექტი და პრეზენტაცია, რომლის გაცნობის შემდეგაც, მონაწილე ქვეყნების მწვრთნელების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა EGMO ოლიმპიადის 2021 წელს საქართველოში, კერძოდ ქუთაისში ჩატარებას.

ძალიან სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრებისთვის ოლიმპიადა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ნაკრების ერთმა წევრმა, მეთორმეტეკლასელმა ანა ონოფრიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა (ეს მისი მეოთხე მედალია EGMO ოლიმპიადებზე, 3 – ოქრო, 1 – ვერცხლი).

**სულ EGMO ოლიმპიადაზე ჩვენი მოსწავლეების მიერ, 2016-წლიდან დღემდე, მოპოვებული პრიზები ასე გამოიყურება – 3 ოქროს, 6 ვერცხლის, 6 ბრინჯაოს მედალი და 5 საპატიო სიგელი.**

გოგონათა ნაკრების მწვრთნელი ივანე გოქაძე ამბობს, რომ, სამწუხაროდ, კორონა ვირუსმა არ მოგვცა იმის საშუალება, რომ EGMO ოლიმპიადის ფარგლებში, საქართველოში, მონაწილე ქვეყნების (54 ქვეყანა) წარმომადგენლები ჩამოსულიყვნენ, მაგრამ, ოლიმპიადა მაინც შედგა ონლაინ რეჟიმში და საკმაოდ წარმატებულიც აღმოჩნდა. *„9-15 აპრილს, მსოფლიოს 54 ქვეყნის 213 საუკეთესო მოსწავლე გოგონა მათემატიკაში შეეჯიბრა ერთმანეთს და თუ გადავხედავთ მონაწილეების მიერ დაგროვილ ქულებს და წინა წლის მონაცემებს შევადარებთ, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ამ ოლიმპიადაზეც „ფეირ-ფლეის“ პრინციპების დაცვის უმაღლესი ხარისხი იყო ნაჩვენები.“* – ამბობს ივანე გოქაძე.

გოგონათა მათემატიკური აზროვნების საერთაშორისო ასპარეზზე შეფასებას არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს, ყოველ შემთხვევაში, მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებისგან განსხვავებით, რომლის საწყისად 1959 წლის ზაფხულში, ბუქარესტში ჩატარებული მოსწავლეთა პირველი საერთაშორისო მათემატიკური ოლიმპიადა მიიჩნევა, სადაც აღმოსავლეთ ევროპის შვიდი ქვეყნის მოსწავლეები შეიკრიბნენ. მოგვიანებით, ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა და 2020 წელს 110-ს გაუტოლდა – საქართველოს ნაკრებიც ერთ-ერთია მონაწილე ქვეყნებს შორის.

**საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადაზე (IMO), 1993 წლიდან მოყოლებული, ჩვენი ქვეყნის მოსწავლეების პრიზები შეადგენს: 3 ოქროს, 20 ვერცხლის, 66 ბრინჯაოს მედალს და 49 საპატიო სიგელს.**

რადგან სტატისტიკურად საუკეთესო ექვსეულში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით, ძირითადად, ბიჭები ხვდებოდნენ, გაჩნდა იდეა, გოგონებისთვის ცალკე გამართულიყო საერთაშორისო მათემატიკური ოლიმპიადა და 2012 წელს, პირველად, მათემატიკის მოყვარულ გოგონებს გაერთიანებულმა სამეფომ კემბრიჯის უნივესიტეტში უმასპინძლა. ოლიმპიადაში, ძირითადად, ევროპის ქვეყნები მონაწილეობდნენ, სახელიც ამიტომ დაერქვა – ევროპელ გოგონათა მათემატიკური ოლიმპიადა (EGMO). თუმცა, სახელის მიუხედავად, მონაწილეობის სურვილი ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა (ამერიკამ, იაპონიამ, ბრაზილიამ, ავსტრალიამ და ა.შ.), ისინი ოლიმპიადაში სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობენ. ჩვენი ქვეყანა გოგონათა ოლიმპიადას 2016 წლიდან შეუერთდა, რომლის მასპინძელი რუმინეთი იყო.










ივანე გოქაძე გვიამბობს, რომ: *„რეალურად, შეიძლებოდა, გოგონათა მათემატიკურ ოლიმპიადას უფრო ადრე შევერთებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ინტერნეტში ინფორმაციას ამ ოლიმპიადის შესახებ სწორედ ამ დროისთვის წავაწყდი და არა დაწყებისთანავე. მოკლედ, 4 წლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ გოგონებისთვის მათემატიკის ოლიმპიადა ცალკე ტარდებოდა.“* თუმცა, მიუხედავად მცირე დაგვიანებისა, მათემატიკის მოყვარულმა გოგონებმა, პირველივე წელს, მონაწილეობა საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგით დაიწყეს – 2016 წელს საქართველოს გოგონათა ნაკრებმა EGMO ოლიმპიადაში 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამის შემდეგ, როგორც ხედავთ, შედეგები არ აყოვნებს, პირიქით, ყოველწლიურად უმჯობესდება.

პანდემიის გამო, ისევე როგორც გასულ წელს, ამჯერადაც, 2021 წლის ევროპელ გოგონათა მათემატიკური ოლიმპიადა (EGMO) ვირტუალურად გაიმართა. მე-11 ოლიმპიადას EGMO 22-ს უნგრეთი უმასპინძლებს. უნგრეთის სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ვიქტორია ჰორვატს ოლიმპიადის დროშა საზეიმო ვითარებაში გადაეცა.

საუბრები ლიტერატურაზე

# არსებობის მარადისობა აკაკის „გამზრდელის“ მიხედვით

აკაკი წერეთლის ამ პოემას რამდენიმე ასპექტის მიხედვით განიხილავენ კრიტიკოსები. აკაკი ბაქრაძის ყურადღების ცენტრში ექცევა ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა, რაც საფარ-ბეგის დანაშაულმა განაპირობა. მკვლევარი თავის სტატიაში საგულისხმოდ ხსნის საფარ-ბეგის მიერ ჩადენილი ცოდვის მიზეზებსა და შედეგებს. გურამ ასათიანი ბათუს მხატვრულ სახეს უბადლოდ წარმოაჩენს და „გამზრდელის“ „პედაგოგიურ“ მნიშვნელობასაც დიდ ყურადღებას აქცევს. ეს კრიტიკოსები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ ბათუს პერსონაჟი წმინდა ქართული მოვლენა და ქართული რაინდული ხასიათის მკაფიო გამოხატულებაა, მაგრამ რატომღაც ისინი ყურადღებას არ აპყრობენ და არაფერს მიანიშნებენ გარკვეული დეტალების, კერძოდ, ბათუს აფხაზობის, ასევე ნაზიბროლას *„სამეგრელოს ასულობის“*, საფარ-ბეგის ყაბარდოელი თავადობისა თუ ჰაჯი უსუბის *„მაჰმადის წმინდა მცნების“* შესახებ.

აკაკის გენიალური პოემის ამ კუთხით ანალიზი მეტად არსებითი მნიშვნელობის მქონეა. ეს ნაწარმოები 1898 წელს გამოქვეყნდა და *„ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი ქმნილებაა XIX საუკუნის ქართული რეალიზმის ისტორიაში“* (ასათიანი, 1982, 368). ნაწარმოების ეპიგრაფში ავტორი მიუთითებს, რომ *„ნამდვილი ამბავია“* და თავის პედაგოგებს უძღვნის. ამით პოეტმა თითქოს უკვე განსაზღვრა პოემის ლიტერატურულ-აღმზრდელობითი დანიშნულება და მიმართულება; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს აკაკი წერეთელთან. როგორც ამირან გომართელი შენიშნავს, აკაკის არ დაუტოვებია მეცხრამეტე საუკუნის ქართველ გენიოსთაგან თითქმის არავინ, რომ *„ფარული ლიტერატურული პოლემიკა“* არ გაემართა და თავისთავადი, სრულიად განსხვავებული სიტყვა არ ეთქვა მათთვის!

გურამ ასათიანი აკაკის „გამზრდელის“ ანალიზისას საუბრობს ამ პოემისა და ილიას „განდეგილის“ დასაწყისის *„საკვირველი დამთხვევის“* შესახებ: *„ორივე შემთხვევაში ეს ადგილი საგანგებოდ მოწყვეტილია მიწას – „ბარს და ვაკეს“, „კაცთ ჟრიამულს“ და უშუალოდ „ცის მახლობლად“ მდებარეობს“* (ასათიანი 1982, 368). ავტორი აქვე შენიშნავს განსხვავებას *„ამ უნივერსალურ ვნებათა საუფლოში“* – *„თუ ილიასთან განდეგილის სამყოფელი წარმოსახულია „დიდებულების“ დომინანტური განცდით, რომელიც პირველ სტროფში „ორბთა“ და „არწივთა“ მეფური სახეების შემოტანითაა აქცენტირებული, აკაკისთან ასეთი დომინანტის როლს უბრალოებისა და სილაღის განცდა ასრულებს. პეიზაჟის ცოცხალ მეტაფორულ კომპონენტად აქ მერცხალი გვევლინება“* (ასათიანი 1982, 368):

*„მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,*
*მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს“.*

მაგრამ კიდევ ერთი ძირეული განსხვავება არსებობს ამ ორ, ღმერთთან მიახლოვებულ თუ მისაახლოვებელ სამყოფელს შორის. ეს მათი მკვიდრნი გახლავთ, ერთ შემთხვევაში – განდეგილი ბერი, ხოლო მეორეში –

*„ერთი* ***ვინმე*** ახალგაზრდა
**აფხაზია,** ამ **მთის** შვილი,
**რთულ ცხოვრების** უარმყოფი,
**მცირედითაც** კმაყოფილი“ (წერეთელი 1956, 235)

ეს სტროფი გენიოსთათვის დამახასიათებელი სისავსით დახუნძლა აკაკიმ. ნაცვალსახელით „ვინმე“ უკვე მიგვანიშნებს გმირის მხატვრული სახის განზოგადებაზე; ხოლო ეთნიკური წარმომავლობის დაკონკრეტებით *(„აფხაზია“)*, შემდეგ ამ კონკრეტიკის კიდევ უფრო სიღრმისეული დაზუსტებით *(„ამ მთის შვილი“)*, უმარტივესად გადაჭრა მეცნიერთათვის დღემდე გადაუჭრელი და „დასამტკიცებელი“ პრობლემა – **აფხაზები „ამ მთის“, ე.ი. საქართველოს, შვილები არიან ისევე, როგორც ნაზიბროლაა „სამეგრელოს ასული“.** აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დასმული თანაფარდობის ნიშანი თამარსა და ძაბულის, აფხაზის ქალსა და მეგრელ ქალს შორის, მაგრამ ორივენი როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, საქართველოს განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენენ. ბათუსა და ნაზიბროლას შემთხვევაში კი ამას ემატება ერთმანეთის ***„ცალობა“, ნაწილობა:***

*„გულში გულს სდებს,*
*სულში სულს სცვლის,*
*ხორცს ეწმახვნის*
*სურო-ვაზი“* (წერეთელი 1956, 235).

წმინდა მამათა აზრით, ყველაზე დიდი სიმდიდრე მოთხოვნილებათა სიღარიბეა. სწორედ ამ სიმდიდრის მფლობელია „რთულ ცხოვრების უარმყოფელი და მცირედითაც კმაყოფილი“ ბათუ. *„სიხარბე მხოლოდ ადამიანის თვისებაა, ბუნება ამ გრძნობას არ იცნობს, მან იცის მხოლოდ აუცილებელი. ადამიანი კი ყოველთვის ცდილობს აუცილებელს მიუმატოს სიხარბე და სწორედ აქ ჩნდება დანაშაული“* (ბაქრაძე, 2013, 254), რომელიც მართალსაც ითრევს ბათუს სახით და სიწმინდესაც ბღალავს ნაზიბროლას გაუპატიურებით. ბათუმ კარგად იცის, რომ საფარ-ბეგის განზრახვა *„უკულმართია“, „მაგრამ საქმემ უკულმართმა შეაწუხა, დააღონა“*; მაშინ რატომღა მიდის ძუძუმტის სურვილის შესასრულებლად? მისთვის სიყვარული „ლამპარივით წმინდაა“ და ჰგონია, რომ საფარ-ბეგსაც იგივე გრძნობა ამოძრავებს: *„მაგრამ რადგან სიყვარულის ტკბილი სენი შენც შეგყრია...“*, ჰგონია არა გულუბრყვილობის გამო, არამედ სხვანაირად ვერ წარმოუდგენია, რადგან თავად არაა ისეთი, როგორიც საფარ-ბეგი: *„ბათუს ხასიათი... მრთელი და ჰარმონიული პიროვნების ხასიათია. ეს ის კრისტალია, რომელიც ამ „რთული ცხოვრებისაგან“ მიღებული უმტკივნეულესი დარტყმის შედეგადაც კი არ იბზარება“* (ასათიანი 1982, 369).

ბათუს შინაგანი სამყაროს ასეთი **სისუფთავე, სისადავე და სიმტკიცე** განპირობებულია იმით, რომ ის *„თავისი ხალხის ღვიძლი შვილია, მისი ჭეშმარიტი ზნეობრივი იდეალის გამომხატველი“* (ასათიანი 1982, 370). ეს *„ზნეობრივი იდეალი“* პოემის სიუჟეტის განვითარების არც ერთ საფეხურზე არ ტოვებს მას, კერძოდ, დაწყებული სტუმრის მოსვლიდან, როცა სიბნელისა და თავსხმა წვიმის გადამკიდემ ჯერ კიდევ არ იცის მისი ვინაობა. მაგრამ მთავარი მისთვის ეს არაა, მთავარი *„ამ თავსხმაში“* მოსული ადამიანის თანაგრძნობა და სამსახურია (განდეგილისაგან განსხვავებით), რასაც გურამ ასათიანი *„გულისხმიერ გონიერებას“* უწოდებს. ამ გულისხმიერების წყალობით მასპინძელი ისე სთავაზობს სტუმარს დახმარებას, რომ *„არ შეურაცხყოს მისი მამაკაცური ღირსება“* (ასათიანი 1982, 372). აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ თუ როგორ გასცემს მოწყალებას ილიას ოთარაანთ ქვრივი ისე, რომ არ ბღალავს გლახაკის პიროვნულ ღირსებას.

*„ერთმანეთის მინამსგავსი შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა...“* (წერეთელი 1956, 240). ამიტომაც ბათუ, თითქოს ძალიან იოლ საქმეზე მიდიოდეს, საუბარს ხუმრობით ამთავრებს: *„და თუ დამრჩა გამარჯვება, მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას...“*; არადა მშვენივრად უწყის, რომ ამ *„უკადრის საქმეს“* შესაძლოა შეეწიროს კიდეც – *„ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს შევწირავ შენს მეგობრობას!“* ძუძუმტის ასეთი თავგანწირვის სანაცვლოდ, საფარ-ბეგი ისეთ ცოდვას ჩაიდენს, რომელსაც *„არც შენდობა უხერხდება“*.

საინტერესოა საფარ-ბეგისა და ზია-ხანუმის ანგარებაზე დაფუძნებული ვნების შედარება ბათუსა და ნაზიბროლას *„ღრუბლებში ამაღლებულ“* სიყვარულთან. ბათუ *„რთული ცხოვრების“* უარმყოფელი და *„შორეული ფაცხა-მღვიმის“* ბინადარია, რომელიც *„მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად“* მდებარეობს. ბათუს საცხოვრისის აღწერისას რამდენიმე მნიშვნელოვანი არეალი დააკავშირა პოეტმა ერთმანეთთან. ეს გახლავთ – **მღვიმე, მთა და ცა.** ეს სამი სივრცე ილიას „განდეგილშიც“ ფიგურირებს. ასევე ფიგირირებს თავსხმა წვიმა, ჭექა-ქუხილიანი ბნელი ღამე, ცეცხლი და უდროოდ მოსული სტუმარი.

საგულისხმოა თუ რას უკავშირდება ქრისტიანობაში ეს სამი სახე-სიმბოლ;: **მღვიმეში,** რომელიც სამყაროს სიმბოლოა, იშვა ჩვენი მაცხოვარი – იესო ქრისტე. **მთის** საშუალებით, წმინდა წერილის თანახმად, ადამიანს ხელეწიფება შემოქმედთან კავშირის დამყარება: მთაზე მიიღო მოსემ ათი მცნება, მთაზე იხილა ცეცხლწაკიდებული მაყვლის ბუჩქი, რომელიც ღვთისმშობლის საშუალებით მაცხოვრის განკაცების წინასწარმეტყველება გახლდათ; მთაზე იცვალა ფერი მაცხოვარმა; მთაზე აღესრულა კაცობრიობის გამოხსნა იესოს ჯვარცმით; მთიდან ამაღლდა ზეცად უფალი; მთაზე ადის დავით წინასწარმეტყველი – *„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა!?“* მთაზე ირწმუნებს ქრისტეს ჭეშმარიტებას მირიან მეფე; მთასა და უდაბნოში იწყებენ მოღვაწეობას სირიელი მამები; მთაწმინდაზე უერთდება ბარათაშვილი გონებით შემოქმედს; მთაზე მყოფი ვაჟა ელაპარაკება ღმერთს, მთაზე დგომისას ჩაესმის გალაკტიონს *„სიჩუმის იდუმალი ხმა“*; მთაზე ელის ტერენტი გრანელი *„ქრისტეს გამოცხადებას“*; და ბოლოს ვისაც სულიერი კათარზისი სურს, მთაში მიდის; არსენ დიდი პირდაპირ ითხოვს მონაზვნებისგან მთაში წასვლას. რაც შეეხება **ცას,** ქრისტიანობისათვის იგი ***„საყდარია ღვთისა“.***

ამ ღვთაებრივი სივრცის *„პატრონია“* ბათუ. ამიტომაც მიაჩნია იგი თავის ცალს – *„ცით მოწყვეტილ ვარსკვლავს“, „ედემის ალვად ასულ“* ნაზიბროლას *„ცა და ქვეყნის შუამავლად“* და ამიტომაც *„უხმო აღსარების“* წყალობით – *„ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე სასუფევლის ნეტარებას“*. ნაზიბროლას მხატვრული სახეც საკმაოდ დატვირთა ქრისტიანული სიმბოლიკით აღსავსე ეპითეტებითა თუ მეტაფორებით პოეტმა – **ცის ვარსკვლავი, ედემის ალვის ხე, *„ელფერობით – ვარდი“, „სინაზით – ია“.***

რას წარმოადგენს საპირისპირო წყვილი; ვინ არის საფარ-ბეგის რჩეული ზია-ხანუმი:

*„ჯერ გაჰლალავს, მიიბირებს,*
***დაიმონებს,*** *იგდებს ხელში,*
*მერე უნდა გამოსცადოს:*
***აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში“***
(წერეთელი 1956, 238).

როგორც ვხედავთ, ზია-ხანუმის დასახასიათებლად აკაკი ძალაუფლების გამომხატველ ზმნებს იყენებს. სწორედ ასე აფასებს აკაკი ბაქრაძე ნაზიბროლას საპირისპირო ანტიგმირს: *„ზია-ხანუმს ძალაუფლების მოყვარეობა აწამებს... მისი სიხარბე ადამიანთა ურთიერთობის იმ სახეობას ცნობს, რომელსაც მორჩილება ეწოდება“* (ბაქრაძე 2013, 251). ესაა ძირეული განსხვავება, როგორც წმინდა მამები განმარტავენ, ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის – ქრისტიანობაში უმთავრესი გრძნობა სიყვარულია – *„ღმერთი სიყვარული არს“* (იოანე მახარობელი), ხოლო მაჰმადიანობაში – მორჩილება. ზია-ხანუმს *„თავმომწონე ინალიფა მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ იცის „სხვებსავით ის მას ვერ იმსახურებს“*. არსებობს ნამდვილი, (ალექსანდრე) ინალიფას პორტრეტი, რომელიც გრიგოლ შერვაშიძის ბაბუა გახლდათ. ამ ფოტოზე გამოსახული უბადლო ვაჟკაცის დამონება ნამდვილად არ იქნებოდა არათუ ადვილი,





არამედ – შესაძლებელი. *„ალმასხიტი არ გახდება ზია-ხანუმის სიხარბის მსახური, ამიტომ ქალი სხვებს აქეზებს მის წინაალმდეგ“* (ბაქრაძე 2013, 251):

*„დამაჩემა: თუ გიყვარვარ*
*და ხარ ჩემი მოგვარეო,*
*ინალიფას ლურჯი ცხენი*
*ამ სამ დღეში მომგვარეო!“* (წერეთელი 1956, 239).

აშკარად ჩანს, რომ საფარ-ბეგი მსხვერპლია და თან ისეთ განსაცდელში ჩავარდნილი, რომ აუცილებლად სხვაც უნდა იმსხვერპლოს, მაგრამ ვინაა იგი!? როგორც აკაკი ბაქრაძე ბრძანებს – *„გაჩნდა დანაშაული. ჯერ შედარებით უბრალო, ცხენის მოპარვა და შემდეგ უკვე უპატიებელი – ძუძუმტის ცოლის გაბახება“* (ბაქრაძე 2013, 251). წმინდა მამათა სწავლებით – *„მინდა არის ვნება“*. დაუოკებელი სურვილიდან ან თუნდაც ინტერესიდან მომდინარეობს ნებისმიერი ცოდვა, რომელიც თავის მხრივ ახალ, უფრო მძიმე, *„სათქმელად საძნელო“* ტრაგედიამდე შესაძლოა მივიდეს. ასე გადაება ჯაჭვურად ზია-ხანუმის *„მინდა“* საფარ-ბეგის ვნებას *(„დამამარცხა, დამიმონა“)*. იმ დროს, როცა *„თვით ეშმაკიც ეძებს ძრძოლით თავშესაფარს“*, იგი ბათუ აფხაზის – ***„ღვთის კარს“*** მიადგა *(„სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ. ცხენს და კაცსა გვინდა ბინა“)*. ფაქტია, რომ საფარ ბეგის ძიძის შვილის *„ფაცხა-მღვიმე“* ღვთაებრივ სიწმინდესთანაა გაიგივებული. ბათუ წამიერადაც კი არ უშვებს მის მიმართ უნდობლობას (მორდუობა ხომ ქვეყანას რჯულზე უფრო უმტკიცესად მიაჩნია). როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს – *„ბათუმ ადამიანის უკეთილშობილესი გრძნობა გამოამჟღავნა – ნდობა“* (ბაქრაძე 2013, 256).

მაშ რა მოხდა *„მერცხლის ბუდესავით“* წმინდა ფაცხაში!? აკაკი ილიასაგან განსხვავებით შეცოდების პროცესს არ გადმოგვცემს, არც განდეგილივით გარბის ცოდვის ადგილისა და ობიექტისაგან საფარ-ბეგი; პირიქით, მართალია, ზეზე შემკრთალი და დარცხვენილი წამოვარდება, მაგრამ ბათუს *„მშვიდ სახეზე“* ღიმილს შეამჩნევს:

*„გაიფიქრა: მადლობა ღმერთს!*
*არაფერი შეუტყვია,*
*თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა*
*ხანჯლის წვერი და ან ტყვია!“* (წერეთელი 1956, 243).

საფარ-ბეგის ამ სიტყვებიდან – ე.ი. თუ ვერ გაიგო ძიძიშვილმა მისი შეცოდება, თუ ქალმა *„ნამუსი შეინახა“* (*„ჩემს საქციელს სამარცხვინოს ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“*) – ნათლად ჩანს, რომ თუ ვერავინ გაიგებს, შეგიძლია ქვეყანა დააქციო. ილია თავის ლუარსაბ თათქარიძეს ასე ათქმევინებს: *„განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები,.. მაგრამ უწინ სულ დაფარული იყო“* (ჭავჭავაძე 1985, 298). საფარ-ბეგისთვის ნაზიბროლას გაბახება ისევე არაფერს წარმოადგენს, როგორც დათიკოსათვის თამროს დაუფლება (არც სოციალური პრობლემა რჩება აკაკის ყურადღების მიღმა). ეს განასხვავებს მას განდეგილისაგან. ამიტომ არ გარბის არსად. ფსიქოლოგიაში მის საქციელს აგრესიული სექსუალური ენერგია ჰქვია, რომლის დროსაც ადამიანი აფექტის მდგომარეობაში იმყოფება და საკუთარ ქცევას ვეღარ აკონტროლებს; ხოლო ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით, ეს შეპყრობილი მდგომარეობაა, საიდანაც ადამიანის გამოსვლა შესაძლოა ტრაგედიითაც კი დამთავრდეს, როგორც განდეგილის შემთხვევაში. საფარ-ბეგის ბუნების ბოლომდე გაშიშვლება ზია-ხანუმის სიხარბის ირიბი მსხვერპლის მხატვრული სახის წარმოჩენით ხდება; როგორც კი *„თმაგაშლილ“, „ჩუმად მტირალ“* ნაზიბროლას იხილავს ბათუ, რომელიც *„ტინის კედელს თავს ახლის და ხმას არ იღებს“, „მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა, ზარმა დაჰკრა ელდა ეცა!... და რომ კრინტიც არ დაუძრავს, იქვე უხმოდ ჩაიკეცა“* (წერეთელი 1956, 242).

ნიკო სამადაშვილი ლადო ასათიანის შესახებ წერს საოცარ სიტყვებს – *„სულის კვამლი უწვავდა თვალებს“*. ბათუს უხმო ჩაკეცვა სწორედ ისეთი *„სულის წვაა“*, როცა წესით ადამიანი ვეღარ უნდა არჩევდეს ვერაფერს, მაგრამ გონზე მოსული, ვაჟას ჯოყოლას მსგავსად, გასაოცრად ანუგეშებს ცოლს – *„გადაიგდე გულიდან ეგ ცრუ ზღაპარი და სიზმარი!... მე და შენი სიყვარული წმინდა არის, ვით ლამპარი“*. ***„ლამპარივით წმინდა სიყვარულმა*** *და სიხარბისაგან თავისუფლებამ დაბადა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი, მისი სულდიდობა“*, – წერს აკაკი ბაქრაძე (ბაქრაძე 2013, 257). ხოლო გურამ ასათიანისათვის ბათუს საქციელი *„ქართული სულის“ „რაინდული დიდსულოვნების ნამდვილი აპოთეოზია“* (ეს სიტყვები კიდევ ერთი დასტური გახლავთ იმისა, რომ ბათუ აფხაზი ისეთივე ქართველია, როგორიც *„სამეგრელოს ასული“* ნაზიბროლა). *„ახლობელი ადამიანის ტანჯვის ხილვით და ამ ტანჯვისადმი თანალმობით ის თითქოს არისტოტელესეული კათარზისის მსგავს ემოციურ მდგომარეობას ეზიარება“* (ასათიანი 1982, 373). ფაცხაში დატრიალებული ტრაგედიის უშუალო მონაწი-

## საუბრები ლიტერატურაზე

ლეს დაუბრუნა ბათუმ იმედი, შეაძლებინა სიცოცხლის გაგრძელება; მაგრამ რჩება მეორე – **სტუმარი, ძუძუმტე და დამნაშავე ერთად.** ერთი გამოცდა, რომელიც საყვარელ ადამიანს შეეხებოდა, მან წარმატებით „ჩააბარა", მეორე გაცილებით რთულია, რადგან საქმე ისეთ ცოდვას ეხება, რომელსაც შენდობაც კი არ უხერხდება. ამის მიუხედავად, აფხაზი ბათუ მასპინძლის მოვალეობას ისე პირნათლად შეასრულებს (*„გამოაწყო, არ დააკლო, რაც წესია, სამსახური, რომ სტუმარი არ გაუშვას გულნაკლი და უმადური"*), *„რომ ერთი გამყიდველი ნერვიც არ შეუთამაშდა სახეზე"* (ასათიანი 1982, 374). მაგრამ *„საკუთარი დაძაბულობის განსამუხტავად წამოწყებული ჭენება მოულოდნელად მუხრუჭდება"* (ასათიანი 1982, 371):

*„საფარ-ბეგო პირშავობა*
*შენი ვიცი, შემიტყვია..."* (წერეთელი 1956, 239).

ის უკვე აღარ მიმართავს როგორც ძუძუმტეს (*„არა სთქვა რა!... არც მე გკითხავ: არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა... არც შენდობა უხერხდება!"*, 244). როგორც ნაზიბროლას მდგომარეობის ხილვისას იყო სიტყვა უძლური (*„უხმოდ ჩაიკეცა"*), ასევეა უძლური საფარ-ბეგის შეცოდების გადმოსაცემად. ბათუს ამ სიტყვებს იგი ცნობიერ გონებაზე მოჰყავს და აღიარებს თავის დანაშაულს (*„შემაცდინა თვით ეშმაკმა და დამრია ცოდვის ხელი!..."* (წერეთელი 1956, 245). ისეთ უმძიმეს ცოდვას, როგორიც მან ჩაიდინა, მხოლოდ ცრემლი ვერ განწმენდს. ეს კარგად უწყის საფარ-ბეგმაც (*„მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე, მაზღვევინე, რაც შეგცოდე, სინიდისი გამიმრთელე"*). ბათუ, მართალია, შეუნდობს შეცოდებას (*„წადი ჩემგან შენდობილი"*), მაგრამ დამსხვრეული სინდისის გამრთელება არ ხელეწიფება. ამიტომაც სხვა გამოსავალს სთავაზობს:

*„წადი, ნახე ის მოძღვარი, ვინც შვილივით გამოგ ზარდა"*
(წერეთელი 1956, 246)

ამით თითქოს მან გადააბარა მოძღვარს ის ნამსხვრევები, რომელსაც საფარ-ბეგის სული წარმოადგენს; თავად კი ფაცხისაკენ მიმავალი *„აღმართი ძლივს ბარბაცით", მაგრამ მაინც „აიარა". „ბათუს „ბარბაცი" მისი სულიერი დაღლილობის გამოხატულებაა, ოღონდ ეს არაა დათრგუნული, არამედ მძიმე სახადისაგან განკურნებული, სიმრთელეშენარჩუნებული სულის დაღლილობა"* (ასათიანი 1982, 374). სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო, რადგან ავტორს აუცილებლად უნდა ეთქვა მკითხველისათვის თუ *„რა არაადამიანური დაძაბვის ფასად დაუჯდა მის გმირს იმ უფსკრულიდან ამოღწევა, რომელშიც მისი გმირი ჩაჩეხეს"* (ასათიანი 1982, 374)

ეს უფსკრული კი ძალიან ღრმა გახლდათ; ამასთან დაკავშირებით აკაკი ბაქრაძეს ლევ ტოლსტოის სიტყვები მოჰყავს მაგალითად: *„ადამიანი იტანს მიწისძვრებს, ეპიდემიებს, ავადმყოფობათა საშინელებებს და ყოველგვარ სულიერ წამებათ, მაგრამ ყოველ ხანაში მისთვის ყველაზე უმწვავესი ტრაგედია იყო, არის და იქნება – საწოლი ოთახის ტრაგედია"*. ვისაც ძალუძს ამ ტრაგედიას შეგნებულად შეხედოს, ემოციას არ აჰყვეს და რუასით განსაჯოს, მას აქვს პატიების ღვთაებრივი უნარი, ეს უნარი გამოავლინა ბათუმ ნაზიბროლას მიმართ. ასეთი ადამიანები იშვიათობას წარმოადგენენ; *„ამიტომაც ბათუს ადამიანური ბუნების სიღრმე განსაკუთრებით დასაფასებელია, ეს სიღრმე მოჩვენებითი და ცრუ კი არ არის, არამედ ნამდვილი"* (ბაქრაძე 2013, 259). წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებდა საფარ-ბეგის პატიებას; როგორც წმინდა მამები გვასწავლიან – ჩვენ ცოდვა უნდა გვძულდეს და არა ცოდვის ჩამდენი. ბათუსაც სძულს არა ადამიანი, არამედ ცოდვა. სწორედ ცოდვის სიძულვის გამო *„ბათუ დანაშაულს არ ურიგდება"* (ბაქრაძე 2013, 259). როგორც აკაკი ბაქრაძე ბრძანებს, *„დანაშაული შეგნებულია, შენდობის აქტიც აღსრულებულია, მაგრამ საფარ-ბეგის ბედი მაინც არ არის გადაწყვეტილი"* (ბაქრაძე 2013, 259). ბათუ აფხაზმა ეს გადაწყვეტილება *„ყაბარდოელ მოძღვარს"* მიანდო (*„რომ მიხვიდე ყაბარდოში, იცოდე, რომ სულ პირველად, წადი, ნახე ის მოძღვარი, ვინც შვილივით გამოგ ზარდა"*). პოემის სათაურის ადრესატს ნაწარმოებში მხოლოდ ბოლო თავი ეთმობა, მაგრამ სათქმელის ტევადობის თვალსაზრისით ბევრ დიდტანიან თხზულებაზე მეტს გვამცნობს გმირის მხატვრული სახის გადმოცემისა თუ მისი „ზნეობრივი აქტის" დემონსტრირების თვალსაზრისით:

*„არც გვარით, არც ვაჟკაცობით,*
*არც სიმდიდრით, არც ქონებით,*
*ჰაჯი-უსუბ ცნობილია*
*მხოლოდ ჭკუით და გონებით..."*

პოეტმა უკვე შექმნა გარკვეულ სულიერ სიმაღლეზე მყოფი პიროვნების შინაგანი პორტრეტი, რომელიც *„თვით მაჰმადის წმინდა მცნებით"* არის შემკობილი. ჰაჯი-უსუბის ნაწარმოებში შემოსვლას ორი განსხვავებული არეალი შემოაქვს პოემაში: ერთი გეოგრაფიული – ყაბარდო, ხოლო მეორე რელიგიური – მაჰმადიანური სამყარო. სავარაუდოდ, არავისთვის არაა უცხო ის ფაქტი, რომ აკაკი რითმის გულისთვის ამ ორ მნიშვნელოვან ფაქტორს არ შემოიტანდა ნაწარმოებში. თავისთავად ისმის კითხვა – რისთვის დასჭირდა, რისი თქმა სურს პოეტს? ამავდროულად აფხაზ გლეხ ბათუსა და ყაბარდოელ თავად საფარს შორის მორდუობის ნათესაური კავშირია დამყარებული. მოგვიანებით ქართულმა მწერლობამ მორდუობის სხვადასხვა შემთხვევები დახატა უკვე ეთნოსის სახელ-დასაკუთრებულ აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობისა; კერძოდ, კომუნისტ არზაყან ზვამბაიასა და თარაშ ემხვარს შორის და ჰაკი აძბასა და უჯუშ ემხას შორის. ერთი ირიბად კლავს ძუძუმტეს, ხოლო მეორე საკუთარ სიცოცხლეს სწირავს მისთვის. ურთიერთობის ამ ფორმამ რადგან ასეთი განვითარება ჰპოვა ქართულ მწერლობაში, შესაძლოა გვაფიქრებინოს – ხომ არ მიდის პოეტი გაცილებით უფრო შორს, ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვიდგენია?! კერძოდ, ის ხედავს, მორდუობის საშუალებით როგორ შემოდიან იმიერ კავკასიიდან უცხო ტომისა და სარწმუნოების მიგრანტები ამიერ კავკასიაში და რა ძვირად უჯდება ქართველურ ტომებს – აფხაზებსა და მეგრელებს მათი თვითგამორკვევა; ამის თქმა რომ არ ყოფილიყო მტკივნეული ჩვენს მამულში შემოსული ხიზნებისათვის, აკაკიმ *„მაჰმადის მცნებას"* განსაზღვრებად *„წმინდა"* წარუმძღვარა; ამით იგი ქრისტიანობას გაუტოლა, ხოლო ჰაჯი-უსუბი მოყვასისადმი დარღვეული სიყვარულის გასამთლიანებლად წირავს საკუთარ სიცოცხლეს, *„საფარ-ბეგის მონანიების დროს ჰაჯი-უსუბმა თავის თავი გაზრდილის დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნია"* (ბაქრაძე 2013, 260) და, ერთი შეხედვით, ხევისბერი გოჩასაგან განსხვავებით, მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა. მაგრამ მას ***„გამოჰქონდა*** *არა* ***იურიდიული,*** *არამედ* ***ზნეობრივი****"* განაჩენი. სხვათა დანაშაულის თანამონაწილეობის განცდა მხოლოდ ერთეულებს გააჩნიათ. ჰაჯი-უსუბის ეს განცდა მკითხველს აუცილებლად მოაგონებს დავით აღმაშენებლის სინანულს და კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს: *„ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი...". „ამრიგად, ჰაჯი-უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თავისთავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი"* (ბაქრაძე 2013, 261) აი ამ სიმაღლემდე აიყვანა აკაკიმ ყაბარდოელი მაჰმადის მცნების მიმდევარი მოძღვარი. თუ გავიხსენებთ ილიას მოთხრობას „სარჩობელაზედ", ვნახავთ, რომ პეტრე ვერაფრით ხვდება, რა დანაშაული მიუძღვის სარჩობელაზედ დაკიდებული ახალგაზრდა ბიჭისადმი; არადა *„ბოროტის ქმედების თანაზიარი ყოველთვის არის საზოგადოება"*, მაგრამ, როგორც წესი, იგი ამ ტვირთს ჰაჯი-უსუბივით არ ღებულობს. *„აკაკი წერეთლის გამზრდელი სჯის დანაშაულს, მაგრამ* ***არ არღვევს არსებობის მარადისობის კანონს, წარსულის სახელით არ კლავს მომავალს"*** (ბაქრაძე 2013, 267). ასე უმტკივნეულოდ, ლამაზად და ფრთხილად „შეეხო" აკაკი *„აფხაზთა, (აფსუათა) გულის სიმებს"*. სხვათა შორის, ჩვენი დიდი მწერლები ეტყობა ხედავდნენ ეთნოსის სახელის მითვისების საშიშროებას შემოსული ტომის მხრიდან და ამიტომაც ასე დელიკატურად სვამენ ტოლობის ნიშანს აფხაზსა და მეგრელს შორის, ასე ოსტატურად გადმოგვცემენ მორდუობის ტრადიციას და ასე ღირსეულად წარმოაჩენენ სტუმრად მოსულ გარეულს, რომელმაც *„შინაური გააგდო"*; მაგრამ ბოროტება ბოროტებით არ იკურნება, მას მაღალი ზნეობისა და გმირობის მაგალითი აცამტვერებს ან აკეთილშობილებს, რაც საგულისხმო და სასურველია ჩვენს სამშობლოში მცხოვრები ყველა ეთნოსის მიმართ.

**თამარ კობერიძე**
***სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი***

**გამოყენებული ლიტერატურა:**
*1. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბილისი-1956წ.*
*2. გურამ ასათიანი, „სათავეებთან", გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბილისი-1982წ.*
*3. აკაკი ბაქრაძე – სკოლას, გამომც. „ინტელექტი", თბილისი-2013წ.*
*4. ინტერნეტ რესურსები.*

# ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სსსმ მოსწავლეების უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

14 აპრილს, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე, „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები განიხილეს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის, **ეკატერინე დგებუაძის** განმარტებით, კანონპროექტი, მიღების შედეგად, უზრუნველყოფს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, სრული ზოგადი განათლების მიღების შემდეგ, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას. მისივე თქმით, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება დადებით შედეგს მოგვცემს შესაბამის ბენეფიციართა სასწავლო პროცესში მეტი ენთუზიაზმით ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების მიმართულებით.

*„სწორედ ინკლუზიურმა განათლებამ გარდაქმნა განათლების სისტემა და დღეს უკვე სრული მზაობაა იმისათვის, რომ ბავშვზე მორგებულ განათლების სისტემად იქცეს. მნიშვნელოვანია, რომ მთელი 12 წლის განმავლობაში ბავშვმა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და სკოლამ მხარი დაუჭიროს, რომ მისი ძლიერი მხარეები წარმოაჩინოს და მთელი ცხოვრების განმავლობაში განვითარების შესაძლებლობა მისცეს. დღეს ზოგადი განათლების რეფორმა ამას ემსახურება. ასევე შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული განათლება ღიაა ინკლუზიური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდასაჭერად, ასევე უმაღლეს სასწავლებლებსაც სჭირდება სერვისების განვითარება იმისთვის, რომ მხარდაჭერილი იყოს როგორც სენსორული დარღვევის, აუტისტური სპექტრის თუ ნებისმიერი მიმართულებით პრობლემის მქონე სტუდენტი"*, – განაცხადა ეკატერინე დგებუაძემ.



კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს და კანონპროექტს მხარი დაუჭირეს იმ დათქმით, რომ ფორმულირებამ მოიცვას არა მარტო სენსორული დარღვევების მქონე, არამედ მთლიანად შშმ პირები, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ არის სათანადო ინფრასტრუქტურა თუ პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ განათლების მიღებას.

**პარლამენტმა კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილა და დაამტკიცა „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული შემდეგი ცვლილება:**

***მუხლი 1.*** *„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ$^{16}$" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

*„პ$^{16}$) ამტკიცებს საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20$^{13}$ მუხლით გათვალისწინებული პირების, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20$^{13}$ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობის გამო, არ ჰქონდათ სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა) მოქმედ სკოლაში, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების წესსა და პირობებს;"*

***მუხლი 2.*** *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 2 თვისა, უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ამ კანონთან შესაბამისობა.*

# პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადებში ცვლილება შევიდა

პირველკლასელთა და მათი მშობლების ინტერესების გათვალისწინებით, 2021-2022 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაციის I და II ეტაპის ვადებში ცვლილება შევიდა.

პირველკლასელთა რეგისტრაციის I ეტაპი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ეხებოდა, 15 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით, უკვე წარმატებით განხორციელდა. თუმცა, ქვეყანაში არსებული ეპიდვითარების გამო, შეფერხდა პირველ ეტაპზე რეგისტრირებული ბავშვების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების პროცესი. შესაბამისად, **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადა 5 ივნისამდე გახანგრძლივდა.**

საქართველოს მთავრობის მიერ 4-11 მაისის უქმე დღეებად გამოცხადების გამო, ცვლილება შეეხო პირველკლასელთა რეგისტრაციის II ეტაპსაც, რომელიც **2021 წლის 20 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით განხორციელდება.**

### II ეტაპზე სკოლაში დარეგისტრირდებიან ბავშვები:

✔ რომელთა და-ძმა სწავლობს სასურველ სკოლაში;

✔ რომელთა მშობელი არის კონკრეტული სკოლის თანამშრომელი;

✔ რომელთა ოჯახიდან, ერთდროულად, ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

ამ ეტაპზე რეგისტრაცია ხორციელდება საჯარო სკოლებში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. რეგისტრაციას უზრუნველყოფს საჯარო სკოლა.

### მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტებია:

✔ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას;

✔ კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

✔ მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

✔ დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**სამინისტრო მშობლებს მოუწოდებს, ყურადღებით გაეცნონ რეგისტრაციის ვადებს და პირობებს, დროულად მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას და წარადგინონ საჭირო დოკუმენტაცია, რათა ბავშვის სკოლაში შეყვანა შეუფერხებლად შეძლონ.**



ონლაინ შეხვედრა

# 14 აპრილი – დღე, რომელიც ყველა ქართველისთვის და საქართველოს მოყვარულისთვის დიდი დატვირთვის მატარებელია







სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“ ეს თარიღი პროექტ „ქართული ფესვების“ ფორმატით აღინიშნა. პროექტის ინიციატორი და კოორდინატორია ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი დარეჯან ცხომარია, მისი მიზანია თურქეთში მცხოვრებ ისტორიულ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის განმტკიცება. პროექტის ფარგლებში, ჩატარდა მორიგი ონლაინ შეხვედრა პროექტის პარტნიორ, თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან, რომელთათვის ყველაფერი ქართული ძვირფასი და სათაყვანებელია.

შეხვედრა ემოციური და შთაბეჭდილებებით სავსე იყო. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნაზი ნადირაძემ ყველას მიულოცა ეს მნიშვნელოვანი დღე. სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ ესტუმრნენ: გლდანი-ნაძალადევის გამგებლის მოადგილე ნანა ციმაკურიძე, მსახიობი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გივი სიხარულიძე, გლდანი-ნაძალადევის საკრებულოს დეპუტატი შალვა ოგბაიძე, პოეტი ლალი ფრუიძე, ანსამბლ „გვირილას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ერნა წიფურია, ასოციაცია „საქართველოს ქალების“ დამფუძნებელი ნინო ჩიხლაძე, მშობელი ნინო ხელაია-სიჭინავა.

ონლაინ შეხდვედრას ესწრებოდნენ სკოლის პარტნიორები სტამბოლიდან: ბეიქოზ-ბათუმის ქართული კულტურის საზოგადოების კულტურის ელჩი, დედა ენის საკვირაო კურსების მასწავლებელი, ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთის რესპუბლიკაში, ქალბატონი მერი დიასამიძე; სტამბოლის ქართული ენის ცენტრის პლატფორმის თავმჯდომარე, ბატონი ეშრეფ ილმაზი; სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის დამფუძნებელი, ბატონი ორჰან ბერიძე; ასევე ძვირფასი სტუმრები: საქართველოს გენერალური კონსული ტრაბზონში, ბატონი გელა ჯაფარიძე; ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში, ქალბატონი სოფო ბოლქვაძე; ფონდ „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ პროექტების კოორდინატორი, ქალბატონი ეკა კვირტი; ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ზურაბ გორგილაძის სახელობის ნორჩ შემოქმედთა კლუბის „ზღვაურის“ ხელმძღვანელი, პოეტი, ქალბატონი ბელა ქებურია; ბეიქოზ-ბათუმის ქართული კულტურის საზოგადოების თავმჯდომარე, ბატონი ალი ქემალ ქილიჩი; სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის თავმჯდომარე, ქალბატონი სეზენ-სალომე გონენჩ ოქჯანი; ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და დახმარების ასოციაციის თავმჯდომარე, ბატონი ადემ თურანი; საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მწიგნობარის“ წევრი მოსწავლეები და პედაგოგი გიტა ლემსაძე; საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბატონი ოსმან ჩალიშქანმჟავანაძე; სტამბოლის ქართველთა სავანეში არსებული ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფის „შინ“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ჟოზია ირემაძე; ქართული ენის ცენტრის პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი ეკა ნადირაშვილი; ჟურნალისტი, ქალბატონი ბელა ბასილაია, სტამბულის ქართული ენის ცენტრის დამფუძნებელი საბჭოს წევრი.

შეხვედრის მონაწილეებმა ქართული ენის გამორჩეულობასა და უნიკალურობაზე ისაუბრეს და პროექტის „ქართული ფესვები“ მნიშვნელობასა და აქტუალობაზე გაამახვილეს ყურადღება. ორივე მხრიდან ბევრი თბილი და ამაღელვებელი სიტყვა ითქვა, მოსწავლეებმა შემოქმედებითი უნარები წარმოაჩინეს ლექსებითა და სიმღერებით. შეხვედრის დასასრულს სამომავლო ღონისძიებები დაისახა.

**ლიკა ლაგვილავა,**
**დარეჯან ცხომარია**





ახალგაზრდული აკადემია

# სივრცე, რომელმაც ბავშვებისთვის თვითრეალიზების შესაძლებლობა შექმნა

ლალი ჯელაძე

11 აპრილს, საქართველოს ახალგაზრდულმა აკადემიამ (Georgian Junior Academy), რომელიც პანდემიის პერიოდში, გასული წლის მარტში დაარსდა, 17-წლამდე მოზარდებს ხელოვნების ფესტივალი მოუწყო. *„ეს იყო ემოციებით დატვირთული დღე, ჩვენ ერთად შევძელით ვირტუალურიდან რეალურ სამყაროში გადმოსვლა,* – გვიყვება ახალგაზრდული აკადემიის დამფუძნებელი ბელა კავთელიშვილი, – *დიდი მადლობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, სკოლიდან და სტუდიიდან ჩამოსულ მონაწილეებს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 100-მდე ნამუშევარი, მათ შორის, ნაძერწები და ლეგოს ფიგურები, 50-მდე მუსიკალური ნომერი. ასევე, მონაწილეები მაყურებლის წინაშე წარდგნენ მხატვრული კითხვით. განსაკუთრებით ემოციური იყო ჩვენი პატარა ემიგრანტების Live ჩართვა მილანიდან და ციურიხიდან. ძმები პეტრუზაშვილები, ყვარლის რაიონის სოფელ შილდიდან, ზუმით შემოგვიერთდნენ. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ SEU-ს გვერდში დგომისთვის, ფესტივალისთვის სივრცე რომ დაგვითმო. ჩვენ კი გპირდებით უფრო მასშტაბურ ღონისძიებებს ახლო მომავალში.“*



აკადემიის დაარსების იდეა პროფესიით მუსიკოსს, ოთხი შვილის დედას, პანდემიის პირველი ტალღის დროს გაუჩნდა, როცა სახლში ჩაკეტილი ბავშვები თავიანთი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენას სახლში გამართული „საოჯახო კონცერტებით“ ცდილობდნენ. სწორედ, მაშინ გაუჩნდა **ბელა კავთელიშვილს** აზრი, შეექმნა სპეციალური ფეისბუქგვერდი და იქ მხოლოდ მისი შვილების ნამღერი კი არ გამოექვეყნებინა, არამედ სხვა ბავშვებისაც. *„ოთხი შვილი მყავს და როცა ისინი რამეს აკეთებენ, მით უფრო, როცა კარგად გამოსდით, სულ მინდა ხოლმე სხვასაც გავუზიარო. ვიფიქრე, ალბათ, ჩემსავით რამდენი მშობელია... ამიტომ გადავწყვიტე, შემექმნა საერთო სივრცე, რომელიც ნებისმიერ ბავშვს მისცემდა შესაძლებლობას, თანატოლებისთვის თუ უფროსებისთვის თავისი შესაძლებლობები ეჩვენებინა.*

*2020 წლის 19 მარტს გავხსენი ჩვენი გვერდი, სახელწოდებით: საქართველოს ახალგაზრდული აკადემია (Georgian Junior Academy ) და თავიდან ჩემი მეზობლის შვილების „შემოქმედების“ გამოქვეყნება დავიწყე, შემდეგ მეგობრის შვილები მივაყოლე და, ცოტა ხანში, ისეთი გამოხმაურება და ინტერესი მოჰყვა ამ ყველაფერს, რომ თავადაც არ ველოდი. დღეს უკვე 32 ათასი გამომწერი გვყავს. შემოგვიერთდნენ ბავშვები რეგიონებიდან, სოფლებიდან, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და, რაც მთავარია – უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, ემიგრანტი ბავშვები.“*

ახალგაზრდული აკადემიის დამფუძნებელი ხაზს უსვამს იმ სიკეთეს, რაც არსებობის მცირე პერიოდში ამ სივრცემ შექმნა – იმის გარდა, რომ პლატფორმა ნიჭიერ მოსწავლეებს იზიდავს, ერთმანეთის მიმართ საოცარი დამოკიდებულება გააჩინა. ამ ხნის განმავლობაში, ვერც ერთ ნეგატიურ შემთხვევას ვერ იხსენებს, რომ მოზარდებს ერთმანეთის მიმართ გამოევლინოთ. პირიქით, კონკურენტებიც კი ერთმანეთის გულშემატკივრებად და ქომაგებად აქცია, დამეგობრდნენ და ყოველდღიური კანტაქტი აქვთ. 11 აპრილს, ვირტუალურად დამეგობრებულ ბავშვებს ერთმანეთის პირისპირ გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ, სეუ-მ ამ დღისთვის ფართი უსასყიდლოდ დაუთმო და ორგანიზატორებმა მათი შესაძლებლობებისა და შემოქმედების გაერთიანება ერთ სივრცეში შეძლეს – სცენა და საგამოფენო სივრცე.

*„ძალიან მიხარია, რომ დასაწყისში მოკრძალებული ჩანაფიქრი დიდ შესაძლებლობად იქცა 17 წლამდე ახალგაზრდებისთვის და პანდემიის პერიოდში სოციალურ ურთიერთობებს მონატრებულმა, სახლში ჩაკეტილმა ბავშვებმა თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება შეძლეს – ერთგვარ პლატფორმად ვიქეცით. შევძელით, შეგვემსუბუქებინა რთული წელიწადი. გავარღვიეთ ჩაკეტილობის წრე და ხატვით, ცეკვით, სიმღერით, ლექსის კითხვითა თუ ლეგოს აწყობით გადავლახეთ მოზარდების თვითრეალიზების შემაფერხებელი ბარიერები. ვფიქრობ, ბავშვებს მართლა ძალიან დაეხმარა ჩვენი აკადემიის სივრცე იმ ფსიქოსოციალური სტრესის დაძლევაში, რომელიც პანდემიის პერიოდის თანმდევი გახდა.“* – ამბობს ბელა კავთელიშვილი.

ახალგაზრდულმა აკადემიამ, წლის განმავლობაში, კონკურსებიც ჩაატარა. თავიდან მხოლოდ მუსიკალური ნომრებით შემოიფარგლებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბავშვები უკეთ გაიცნეს და, შესაბამისად, მეტი შეიტყვეს მათი ინტერესების შესახებ, აღმოაჩინეს, რომ მხოლოდ სიმღერა სულაც არ იყო ერთადერთი გატაცება, მათი ინტერესები მრავალმხრივი აღმოჩნდა. *„ამიტომაც, ამ აღმოჩენამ გვიბიძგა, გაცილებით მეტი შეგვეთავაზებინა ბავშვებისთვის, რაც უფრო მეტად წარმოაჩენდა მათ შესაძლებლობებს,* – ამბობს აკადემიის დამფუძნებელი, – *ასეც მოხდა. ჩავატარეთ კონკურსები მხატვრულ კითხვაში, ხატვაში და ა.შ. ბავშვები სხვა კუთხითაც გავიცანით. ამის შემდეგ უცნობი ბავშვებიც შემოგვემატნენ და, თვალსა და ხელს შუა, მათი რიცხვი ათიათასობით გაიზარდა. სხვათა შორის, ხატვის კონკურსში 1000-ზე მეტმა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა. ცხადია, ბავშვებს წახალისებაც სჭირდებათ, როცა სპონსორს ვპოულობთ, ეს გამოგვდის. მაგალითად, სიმღერის კონკურსში ცნობილი მომღერლებიც ჩაერთვნენ, ასევე რადიოსადგურებიც დაინტერსდნენ. ბაიარ შაჰინმა გამოავლინა თავისი რჩეული, რადიოებიც ასახელებდნენ რჩეულებს, ჩვენ კი, წარმატებულ მომღერალ ბავშვებს ერთწლიანი სარგებლობის უფლება ვაჩუქეთ – ფასიანი სიმღერები უსასყიდლოდ შეასრულონ, მხოლოდ აპლიკაციაზე დარეგისტრირების გზით.*

*ასე გაგრძელდება ჩვენი არც თუ დიდი ხნის წინ დაწყებული ისტორია და როგორც ჩანს (ამის თქმის შესაძლებლობას ბავშვების მხრიდან გამოხატული ინტერესები და სურვილები მაძლევს), კიდევ არაერთი საინტერესო დღის თუ მოვლენის მოწმე გავხდებით.“*

აკადემიის დამფუძნებელი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მასწავლებელთა ჩართულობასა და იმ გამოხმაურებას, რაც მათი მხრიდან მოჰყვა შეთავაზებულ აქტივობებს. ამბობს, რომ ეს ძალიან დასაფასებელია, განსაკუთრებით პანდემიის ფონზე. Georgian Junior Academy მადლობას უხდის მასწავლებლებს, რომლებიც რეალურ სივრცეში ჩაერთნენ. მათ, 11 აპრილის ხელოვნების ფესტივალში მონაწილეობისთვის, დიპლომები გადასცეს.

ახალგაზრდული აკადემიის დამფუძნებელი გვიამბობს, რომ საქმესთან გამკლავება გაუჭირდა და ამიტომ მალევე იპოვა თანამოაზრე სოფო სარიშვილი, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ხელმძღვანელობს.



**სოფო სარიშვილი:** *„ზოგადად, ძალიან მიყვარს ხელოვნების ყველა დარგი, განსაკუთრებით მხატვრობა. როდესაც საქართველოს ახალგაზრდულმა აკადემიამ დაიწყო პატარა „მხატვრების“ ნამუშევრების ატვირთვა, ბავშვებს ყოველთვის ვუზიარებდი ჩემს აზრს. ასე მივიქციე გვერდის დამფუძნებლის ყურადღება და მეც ძალიან დიდი ენთუზიაზმით ჩავერთე „ახალგაზრდული აკადემიის განვითარებაში“. სასიამოვნოა, როდესაც ხედავ შენ თვალწინ როგორ ვითარდებიან, ყოველკვირეული გამოფენებისთვის უფრო და უფრო დახვეწილ ნამუშევრებს გვთავაზობენ. მჯერა, ძალიან ბევრ მათგანს წარმატებული მხატვრის ამპლუაში ვიხილავთ. განსაკუთრებულად სასიამოვნოა მათთან ურთიერთობა, როგორც ჩანს, ხელოვნება ადამიანის აურაზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს. ამ გვერდმა ბევრ თავის თავში ჩაკეტილ ბავშვს დააძლევინა კომპლექსები და მათ საზოგადოების წინაშე გამოიტანეს თავიანთი ნამუშევრები. ვირტუალურმა სივრცემ თითქოს ერთგვარი ფარდის როლი ითამაშა და ფარდას ამოფარებულებმა გაასაჯაროვეს თავიანთი ნამუშევრები. შემდეგ უკვე, როდესაც რეალურ სამყაროში გადმოვინაცვლეთ და გამოფენა „გაზაფხულის ფესტივალი“ დავგეგმეთ, თავის თავში უფრო მარტივად იპოვეს გამბედაობა და შემდეგი ნაბიჯები გადმოდგეს. ძალიან დიდ როლს თამაშობს ახალგაზრდების ჩამოყალიბებაში ჩვენი აკადემია და ბედნიერი ვარ, რომ ამ ყველაფრის ნაწილი შემიძლია ვიყო. ექსპოზიციების მოწყობის გამოცდილება აქამდეც მქონია, ბოლო 8 წლის განმავლობაში საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩემი ერთ-ერთი საქმიანობა სწორედ ეს იყო –გამოფენების კეთება, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო პროცესია.“*

**✔ ბოლოს კი, ახალგაზრდული აკადემიის აქტივისტების შთაბეჭდილებებს შემოგთავაზებთ, რომლებიც იმ ინტერესებსა და გამოცდილებაზე გვიყვებიან, რამაც ისინი ამ სივრცეში გააერთიანა.**



**თეკლა წურწუმია, 10 წლის:** *„Georgian Junior Academy-საქართველოს ახალგაზრდული აკადემიის შესახებ პირველად მშობლებისგან შევიტყვე და შემდეგ თვალს ვადევნებდი გვერდის აქტივობებს.*

*ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა, აკადემიის მიერ, პანდემიის პერიოდში, გამოცხადებული ონლაინ მუსიკალური კონკურსი. გამოცდილების მიღების მიზნით, გადავწყვიტე კონკურსში მონაწილეობა და სახლის პირობებში ჩავწერე საკონკურსო ვიდეო. აღნიშნული კონკურსი წარმატებული აღმოჩნდა ჩემთვის და გამარჯვება მომიტანა (როგორც წარმატებული ფინალისტი, დავჯილდოვდი დიპლომითა და კონკურსის ორგანიზატორის სპეციალური პრიზით – 1-წლიანი სმულეს VIP ექაუნთით).*

*პანდემიის პერიოდში დავეუფლე ქართული კალიგრაფიის შესრულების ხერხებსა და ტექნიკას. Georgian Junior Academy-საქართველოს ახალგაზრდულიმა აკადემიამ შესაძლებლობა მომცა, პერსონალური ონლაინ გამოფენის მეშვეობით, სოციალური ქსელის მომხმარებელი საზოგადოებისთვის ჩემი კალიგრაფიული ნაშრომები გამეცნო.*

*აკადემიის მიერ რეალურ სივრცეში ხელოვნების ფესტივალის ჩატარებამ ძალიან გამახარა. წარმოვადგინე ჩემი ორი ნახატი, რომელთაგან ერთ-ერთი სპეციალურად გამოფენისთვის შევქმენი და დავარქვი – „ჩემი აფხაზეთი“. მართალია, მე თბილისში დავიბადე, მაგრამ ჩემი ოჯახი წარმოშობით აფხაზეთიდანაა, რომელიც მხოლოდ სურათებში მაქვს ნანახი და მასზე ბევრი მსმენია მშობლებისგან.*

*როცა გავიგე, ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში, შემეძლო მუსიკალური ნომრის შესრულება, დავიწყე ფიქრი, რომელი სიმღერა შემესრულებინა. რადგან წარმოშობით აფხაზეთიდან ვარ და გამოფენისთვის სპეციალურად შექმნილი ნახატიც აფხაზეთს ეხებოდა, ჩემმა ვოკალის მასწავლებელმა, მაკა აროშიძემ მირჩია, შემესრულებინა სიმღერა „ხელებით, პატარა ხელებით“ (კომპოზოტორი – მაკა აროშიძე), რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი.*

*ხელოვნების ფესტივალმა, რომელიც საოცარ გარემოში ჩატარდა, მომცა დიდი გამოცდილება, რაც მომავალში დამეხმარება.“*



**მარიამ გელაშვილი, 13 წლის:** *„ხატვაზე არასდროს არ მივლია, თუმცა, 3 წლიდან ვხატავდი და ბებიასთან ერთად, უფრო და უფრო ვხვეწდი. ბებია ხატვის მასწავლებელია, ბიძას სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული, ალბათ, ამიტომაც გამომყვა გენეტიკურად ხატვის ნიჭი. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოვხვდი გამოფენაზე – ბებიის აქტიურობის დამსახურებით. მანამდე კი, მხოლოდ ონლაინ გამოფენაში მქონდა მონაწილეობა მიღებული, ისიც Georgian junior აკადემიის მეშვეობით. 11 აპრილს გამოსაფენად გავიტანე ჩემი 4 ნამუშევარი (ტილო, ზეთი). ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ეს გამოფენა ერთ-ერთი მიღწევა იყო ჩემთვის, დიდი მოწონება და გამოხმაურებაც კი დავიმსახურე. დიდი მადლობა ამისთვის junior აკადემიას.“*



**ელენა კვიჟინაძე, 5 წლის:** *„ძალიან მიყვარს ხატვა და საღებავები. როდესაც 3 წლის ვიყავი, ჩემი დახატული მზე გამოფინეს. ამქონდა პერსონალური ონლაინ გამოფენა საქართველოს ახალგაზრდულ აკადემიაში, მივიღე დიპლომი მონაწილეობისთვის. ახლა კი, მესამე გამოფენაში ვმონაწილეობ, ჩემს ორ დასთან, ძმასთან და მეგობრებთან ერთად. უკვე 3 დიპლომი მაქვს და ძალიან მიხარია. ხშირად ვაწყობ ჩემი ნამუშევრების აუქციონს სახლიდან, ხატვას სევდა მასწავლებელი მასწავლის.“*



# გასული კვირის განმავლობაში სკოლებში ინფიცირების მაჩვენებელი გაიზარდა

ქვეყანაში ინფიცირებულთა გაზრდილი მაჩვენებელი სკოლებში არსებულ ვითარებაზეც აისახა, თუმცა მაქსიმალურად დაცული ჰიგიენური ნორმებიდან გამომდინარე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვითარება კონტროლს სრულად ექვემდებარება.

10-დან 16 აპრილის ჩათვლით, მონიტორინგისა და სავალდებულო ტესტირების შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვირუსი მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 0,3%-ს და მოსწავლეთა 0,1 %-ს დაუდასტურდა.

მშობელთა თხოვნით, ასევე, ვირუსის დადასტურების მიზეზით, ქვეყნის მასშტაბით, ამ ეტაპზე, სრულ დისტანციურ სწავლებაზე 73 სკოლა და 187 ცალკეული კლასი იმყოფება.

გაიზარდა რისკ ჯგუფში მყოფი იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომელთაც დისტანციური სწავლების თხოვნით თავად მიმართეს და სკოლის მხრიდან შეღავათი გაეწიათ. ამ ეტაპზე, დისტანციური სწავლების ფორმატში, ქვეყნის მასშტაბით, 133 პედაგოგი იმყოფება.

სკოლებში ინფიცირების გამოვლენის შემთხვევებში, როგორც წესი, კვლავ წერტილოვანი შეზღუდვები ვრცელდება და სკოლები ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი პროტოკოლით მოქმედებენ.

მიმდინარე სტატისტიკიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად არის საჭირო ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების დაცვა. სწორედ ამიტომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კვლავ მოუწოდებს საზოგადოებას ხელი შეუწყონ ბავშვებს და ზედმიწევნით დაიცვან დაწესებული ნორმები, რათა მოსწავლეებმა სემესტრი სკოლის შენობაში დაასრულონ.

ეკა დგებუაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის *მოადგილე: „ბოლო კვირის განმავლობაში იმატა კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ. განათლების სამინისტრო აგრძელებს მონიტორინგს საჯარო სკოლებში. მოგეხსენებათ, ასევე, რომ სკოლები იცავენ ყველა იმ წესს, რომელიც დადგენილია რეგულაციით.*

*ჩვენ გვინდა, კიდევ ერთხელ, მოვუწოდოთ ჩვენს მოქალაქეებს და მივმართოთ ასევე თხოვნით, დაიცვან ყველა ის წესი, რომელიც დადგენილია იმისთვის, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა გააგრძელონ სკოლაში სწავლა, არ მოხდეს შიდა გავრცელება და შევინარჩუნოთ სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში.“*

## შესწორება

**ჩვენი გაზეთის №11-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „სოლო ტაქსონომია, როგორც მოსწავლის სწავლის გზა“ დაშვებულია რამდენიმე უზუსტობა:**

**1.** მე-6 გვერდის პირველი სვეტის ბოლო აბზაცში, ქვევიდან მე-4 სტრიქონში, **ნაცვლად**: *„შეიმუშავეს **სწავლების დაკვირვებადი შედეგების ტაქსონომია** (Solo – Structure of Observed Learning Outcomes)“,*

**უნდა იყოს**: *„შეიმუშავეს **სწავლის დაკვირვებადი შედეგების ტაქსონომია*** (Solo – *Structure of Observed Learning Outcomes)“;*

**2.** მე-6 გვერდის მეორე სვეტის ბოლო აბზაცის ქვესათაურში, **ნაცვლად**: *„ზედაპირული **სწავლების ეტაპები**: უნისტრუქტურული და მულტისტრუქტურული დონეები“,*

**უნდა იყოს**: *„ზედაპირული **სწავლის ეტაპები**: უნისტრუქტურული და მულტისტრუქტურული დონეები“;*

**3.** მე-6 გვერდის მესამე სვეტის ქვევიდან მეორე აბზაცის ქვესათაურში, **ნაცვლად**: *„სიღრმისეული **სწავლების ეტაპები**: მიმართებითი და აბსტრაქტული/გენერალიზებული დონე“,*

**უნდა იყოს**: *„სიღრმისეული **სწავლის ეტაპები**: მიმართებითი და აბსტრაქტული/გენერალიზებული დონე“;*

**4.** მე-7 გვერდის პირველი სვეტის ქვევიდან მეორე აბზაცი,
**ნაცვლად**: *„ბევრი მოსწავლე პრესტრუქტურულ ან უნისტრუქტურულ დონეზე რჩება“,*

**უნდა იწყებოდეს წინადადებით**: *„ბევრი მოსწავლე **კონკრეტულ საკითხში** პრესტრუქტურულ ან უნისტრუქტურულ დონეზე რჩება“.*

**ოჯახები პანდემიის პირისპირ**

# როგორ უმკლავდებიან საქართველოში ბავშვები და მშობლები ფინანსური კრიზისის ზეგავლენას

კოვიდპანდემიამ გაუთვალისწინებელი სიძნელეების წინაშე დააყენა ყველა სფერო და აქ დასაქმებული ადამიანები – ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, განათლება, კულტურა... კვლევის შედეგები, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა, ნათლად აჩვენებს რა სავალალო გავლენა იქონია ამ პერიოდმა ადამიანების ბედზე, თითოეულ ოჯახზე. ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-ის გავლენის რეალურ დროში კვლევა, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა და მომავალშიც გაგრძელდება, ემყარება 1 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე რესპონდენტებისაგან განმეორებით ინფორმაციის შეგროვებას (პანელური კვლევა).

წინამდებარე კვლევაში სულ 2118 შინამეურნეობა მონაწილეობდა, აქედან 996 ერთეული ქალაქად, ხოლო 1122 – სოფლად. კვლევის პირველი ტალღის საველე სამუშაოები 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა. შედეგებიდან ჩანს, რომ ახალი კორონავირუსისგან თავის დასაცავად შინამეურნეობები მიმართავდნენ სხვადასხვა ზომებს, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული იყო პირბადის ტარება (93.3%), ხელების ხშირად დაბანა და ხელის სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება (75.7%), ხალხმრავალ ადგილებში ყოფნისაგან თავის არიდება (74.2%), დისტანციის დაცვა (36.6%), საგნების შეხებისგან თავის არიდება (20.7%). კვლევის მიხედვით, კორონავირუსისგან თავდაცვით ზომებს, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტად ქალები მიმართავდნენ, ხოლო პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო შინამეურნეობებისთვის ტელევიზიაა (92.1%), ინტერნეტი (36.0%), სოციალური ქსელები (32.0%). ტელევიზიით ინფორმაციას, ძირითადად, სოფლად მცხოვრები მოქალაქეები იღებენ, ხოლო საქალაქო დასახლებებში, ამ თვალსაზრისით, მეტად პოპულარული ინტერნეტი და სოციალური ქსელებია.

## კვლევის საკვანძო გზავნილები ასეთია:

**1. შინამეურნეობების ზოგიერთი მახასიათებელი და შემოსავლები:**

➯ ყოველ მეხუთე შინამეურნეობას (20.8%) არ აქვს ინტერნეტთან წვდომა საცხოვრისში. ასეთი შინამეურნეობების წილი სოფლად ბევრად აღემატება ქალაქის მაჩვენებელს, 31.3% და 13.3% შესაბამისად;

➯ შინამეურნეობების 31.8 პროცენტში, ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით – 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე;

➯ 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე პერიოდში შინამეურნეობების 53.0%-ს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავალი. ამასთან, ამ შინამეურნეობების მესამედზე მეტს (39.5%) შემოსავალი შეუმცირდა 50%-ზე მეტით;

➯ შემოსავლის შემცირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს კოვიდი და მასთან დაკავშირებული ძირითადი გარემოებები, როგორიცაა კომპანიის/ბიზნესის, სადაც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი, დახურვა (31.9%); კომპანიას/ბიზნესს, რომელშიც მუშაობდა ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს, შეუმცირდა მოთხოვნა (23.2%); შინამეურნეობის წევრის მიერ საკუთარი კომპანიის/ბიზნესის დახურვა (15.8%) და ა.შ.;

➯ შემოსავლების შემცირებასთან გამკლავების მიზნით, შინამეურნეობები ყველაზე ხშირად მიმართავდნენ კვებაზე ხარჯების შემცირებას (67.2%), სხვა საოჯახო ხარჯების შემცირებას (82.9%), დანაზოგების გამოყენებას (49.9%), ფულის სესხებას მეგობრებისა და ნაცნობებისგან (45.5%);

➯ COVID-ის გავლენის შესამსუბუქებლად, 2020 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ფარგლებში, შინამეურნეობების 80.6%-მა მიიღო ელექტროენერგიის გადასახადის სუბსიდირება, სულ მცირე, ერთი თვით; 72.2%-მა მიიღო ბუნებრივი აირის გადასახადის სუბსიდირება, სულ მცირე, ერთი თვით, 40.4%-მა მიიღო 18 წლამდე ბავშვთა 200-ლარიანი ერთჯერადი სოციალური დახმარება, 23.6%-მა მიიღო მთავრობის მიერ მიწოდებული სხვა დახმარება. გარდა ამისა, 32.3%-მა ისარგებლა კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების გადავადებასთან დაკავშირებული შეღავათებით.

**2. ბავშვების განათლება**

გამოკვლევის განსაკუთრებული ინტერესის სფეროა განათლება, COVID-ის გავლენა ბავშვთა განათლების მიღებაზე და დისტანციურ სწავლებაზე. შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების თითქმის ნახევარი (48.0%) კმაყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის პერიოდში დისტანციური სწავლების მეთოდებით. ზოგადად, განათლების სფეროზე COVID-ის გავლენა სტატისტიკურად ასეთია:

➯ 2-4 წლის ყოველი მეოთხე (25.6%) და 2-5 წლის ყოველი მეხუთე (20.0%) ბავშვი არ დადიოდა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 2020 წლის მარტში, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვამდე. სოფლად ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია და შეადგენს 2-4 წლის ბავშვებში 42.0%-ს, ხოლო 2-5 წლის ბავშვებში – 32.3%-ს;

➯ 2-5 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიოდნენ სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 2020 წლის მარტში, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვამდე და, მინიმუმ, ერთი თვის განმავლობაში, დახმარების სახით, მიიღეს საკვები სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, მისი დახურვის შემდეგ, შეადგინა 85.5%, რაც საჯარო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების თითქმის ყველა ბავშვს შეადგენს;

➯ 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში, 2-4 წლის ასაკის ბავშვების პროცენტულმა წილმა, რომლებთან ერთად შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ჩართული იყვნენ 4 ან მეტ აქტივობაში, შეადგინა 92.3%. შედარებისთვის, აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს 77.6%-ს შეადგენდა;

➯ 2019-2020 სასწავლო წელს სკოლის მიღმა დარჩენილი სრული საშუალო განათლების საფეხურის შესაბამისი ასაკის (15-17 წლის) ბავშვების პროცენტული წილი შეადგენდა 11.2%-ს. შედარებისთვის, აღნიშნული მაჩვენებელი არ შეცვლილა 2018-2019 სასწავლო წლის შემდეგ;

➯ 6-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც 2020 წლის მარტში, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის შემდეგ, უყურებდნენ სატელევიზიო გაკვეთილებს, შეადგინა 57.3%;

➯ 6-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც 2020 წლის მარტში, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის შემდეგ, უტარდებოდათ ონლაინ გაკვეთილები, შეადგენდა 96.8%-ს.

ამავე გამოკვლევის მიხედვით, საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესი არ განუახლებია ბავშვთა 38.4%-ს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში არდაბრუნების ძირითად მიზეზად (2-17 წლის) დასახელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვა და ონლაინ სწავლების დაბალი შესაძლებლობა (67.3%), ასევე, შიში COVID-ის მიმართ (28.1%).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გამოკვლევის რამდენიმე ტალღის ჩატარებას გეგმავს, რომლის ფარგლებშიც მიიღება სხვადასხვა სახის ინფორმაცია COVID-19-ის პანდემიის დროს ბავშვებისა და ოჯახების მდგომარეობის შესახებ.

მოამზადა **ანა ფირცხალაიშვილმა**



პედაგოგთა დასახმარებლად

# ԲԱՌԱԿԱԶՄՈՒԹՅՈՒՆ



**მარა სარქისიანი**
*სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის №1 საჯარო სკოლის მასწავლებელი*

## ՕՐՎԱ ԴԱՍԻ ՊԼԱՆ

**Ուսուցիչ՝** Սարգսյան Մարա
**Դասարանը՝** 6-րդ
**Առարկան՝** Մայրենի
**Դասի թեման՝** Վարդգես Պետրոսյանի „Հայաստանի բանալին“, „Բառակազմություն“
**Դասի տիպը՝** համակցված դաս
**Մեթոդներ և հնարներ՝** „Պրիզմա“, „Ուղղորդված ընթերցանություն“, „Բառքամոցի“
**Անհրաժեշտ նյութեր՝** աշխարհի քարտեզ, գրքեր, տետրեր, համակարգիչ

**Նպատակը.**

**Իմանալ.**

ա/ տեքստում արտահայտված հիմնական գաղափարը
բ/ բառակազմության նշանակությունը լեզվի բառապաշարի հարստացման գործում

**Կարողանալ.**

ա/ բացատրել տեքստում առկա ընդհանուրին հուզող երևույթի արտացոլումը մասնավորի միջոցով,
բ/ մեկնաբանել արտահայտած հիմնական գաղափարը,
գ/ մեկնաբանել օտարության մեջ ապրող հայի ապրումները,
դ/ նկարագրել հերոսին,
ե/ տրված արմատներով կարողանալ կազմել բառեր:

**Դասի ընթացքը.**

**1. Խթանման փուլ՝**

Աշակերտներին բացատրում եմ, որ վերջացրինք դասագրքի „Ես և իմ ընտանիքը“ բաժինը: Հարցերի միջոցով մեկնաբանում ենք բաժնում տեղ գտած ստեղծագործությունների գաղափարները: Այնուհետև անցնում ենք „Իմ տունը Հայաստանն է“ բաժինը: Կազմում ենք պրիզմա „Հայաստան“ բառով:

**Հայաստան**
**Հայրենիք** **Երևան**
**Հայ** **հայերեն** **Բնօրրան** **օջախ**
**Բնօրրան** **օջախ**
**Պետություն**

Սկզբնաբառով և վերջնաբառով կազմում են նախադասություն: Կապ եմ ստեղծում նախորդ բաժնի և նորի միջև, այսինքն առանց ընտանիք չկա հայրենիք, չկա պետու-
թյուն: Ուրեմն՝ հաջորդ բաժինը՝ „Իմ տունը Հայաստանն է“, բոլոր տեքստերի հիմքում ընկած կլինի մեր հայրենիքի գովաբանումը, արժևորումը:

**2. Իմաստի ընկալում.**

Կարճ տեղեկություն եմ հաղորդում տեքստի հեղինակի՝ Վարդգես Պետրոսյանի մասին:

**Աշակերտներին հարցնում եմ՝**

ա/ սիրու՞մ են նվերներ ստանալ /լսում եմ կարծիքներ/
բ/ եթե ձեր հայրիկը մեկներ Հայաստան, ի՞նչ նվեր կուզեիք նրանից /լսում եմ կարծիքներ/

Այնուհետև „Ուղղորդող ընթերցանություն“ մեթոդով ներկայացնում եմ Վ Պետրոսյանի „Հայաստանի բանալին“ տեքստը մինչև „Հայկարա՛մ ի՞նչ բերեմ քեզ“ հատվածը: Աշակերտներին հարցնում եմ՝ ի՞նչ կուզի Հայկարամը / լսում եմ կարծիքներ: Ամբողջությամբ կարդալուց հետո հարցնում եմ՝ ճի՞շտ էր Ավետիք Իսահակյանը, որ Հայաստանի բանալին հայոց լեզուն է /լսում եմ կարծիքներ/:

Առաջարկում եմ բացել դասագրքերը և կարդալ այն հատվածը, որտեղ նշվում է, թե որ թվականն էր, հերոսը քանի տարեկան էր, չորս տարեկան երեխայի՝ նվերի այսպիսի ընտրության մեջ տարօրինակ ոչի՞նչ չեն նկատում: Ինչ են կարծում՝ նման միտք ունեցող երեխան հետագայում ո՞վ կդառնա, ի՞նչ մասնագիտություն կունենա / լսում եմ կարծիքներ/:

**Աշակերտներին հարցնում եմ՝**

ա/ ձեր կարծիքով Հայկարամը հորինված կերպար է, թե՞ իրական:
բ/ Հայաստանի բանալին ինչ դեր է խաղացել նրա կյանքում:

Փակցնում եմ աշխարհի քարտեզը, ցույց եմ տալիս ԱՄՆ- ի տարածքը, նշում, որ Հայկարամ Մսրլյանը ապրում է ԱՄՆ-ում՝ Կալիֆոռնիայի Փասադենա քաղաքում:

Համացանցի միջոցով ցույց եմ տալիս Հայկարամ Մսրլյանի նկարը, կարճ տեղեկություններ եմ հաղորդում նրա կյանքի և գործունեության մասին: Խոսում ենք սփյուռքում ապրող հայի մասին՝ հիշելով Վ Պետրոսյանի խոսքերը „Եթե օտարության մեջ երկու հայ հանդիպում են, միևնույնն է, նրանք երեքով են, երկուսի արանքում միշտ էլ տեղավորվում է հայրենիքը“:

Այնուհետև նշելով որ մենք ևս ապրում ենք սփյուռքում՝ աշակերտներին հորդորում եմ սիրել, սովորել, բարձր պահել մեր մայրենին, խոսել գեղեցիկ հայոց լեզվով, աշխարհին լսելի դարձնել մեր հայոց լեզուն: Ամուր պահենք մեր երկրի բանալին:

**3. Կշռադատման փուլ.**

**Կատարում են բառային աշխատանք:**

ա/ բացատրում եմ տեքստում կարմիր գրված բառերը, գրում են այդ բառերի հոմանիշները և հականիշները:
բ/ կաթկթել բառի նմանությամբ կազմում են ծամել, վազել, ծակել, ծալել, քաշել բայերի համապատասխան ձևերը:
գ/ գրում եմ „բառակազմություն“ բառը, առաջարկում եմ „բառքամոցի“ կատարել, „քամել“ 5-6 բառ:
դ/ գծում են աղյուսակ, որ այդ բառերով կազմեն այլ բառեր, բառակապակցություններ:

Տնային հանձնարարություն՝

ա/ վերարտադրել տեքստի բովանդակությունը,
բ/ հիշել և արտասանել բանաստեղծություններ հայոց լեզվի մասին,
գ/ գրել ասույթներ մեր մայրենի լեզվի մասին,
դ/ ծաղիկ սկզբնաբաղադրիչով և վերջնաբաղադրիչով 5-ական բառ կազմել:




# პროფესიული განათლების 2021 წლის ეროვნული ჯილდოს კონკურსი გამოცხადდა

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო, ათასწლეულის ფონდის ინიციატივითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, წელს მეოთხედ ტარდება და, ტრადიციულად, მისი მხარდამჭერი გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდია.

წელს კონკურსს ახალი კატეგორიები დაემატა და გამარჯვებულებს დამოუკიდებელი ჟიური ხუთ კატეგორიაში გამოავლენს: **წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, წლის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი, წლის პროფესიული განათლების სტუდენტი, წლის პროფესიული განათლების ბიზნესპარტნიორი.**

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და ორგანიზაციების წარმოჩენა, ასევე, პროფესიულ განათლებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი სიახლეების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება და მათი დაინტერესება, შეიძინონ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარები და აიმაღლონ კვალიფიკაცია დასაქმების მიზნით.

პროფესიული განათლების 2021 წლის ეროვნული ჯილდოსთვის საკონკურსო განაცხადების მიღება უკვე დაიწყო. საპლიკაციო ფორმის შევსება შესაძლებელია ფონდის ვებგვერდზე www.millennium.org.ge.

**განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 28 მაისი.** გამარჯვებულთა ვინაობა პროფესიული განათლების ყოველწლიურ გალა დაჯილდოებაზე გახდება ცნობილი.




# სამინისტრო მოსწავლეთა სკოლის მიღმა დარჩენის პრევენციის რეგულაციებს აძლიერებს



პირველად, მოსწავლეთა სკოლის მიღმა დარჩენის პრევენციის მიზნით, სასწავლო პროცესში ჩართულობის მონიტორინგის მექანიზმი ამოქმედდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააწესა რეგულაციები, რომელიც სკოლებს ავალდებულებს, მოსწავლის სკოლაში ან დისტანციური ფორმით ჩატარებულ გაკვეთილებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რეაგირება მოახდინოს. საბოლოო ჯამში, იმისათვის, რომ მოზარდი სკოლის მიღმა არ აღმოჩნდეს, პროცესში მთელი განათლების სისტემა ერთვება.

აღნიშნულ რეგულაციებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის საერთაშორისო კონსულტანტთან და UNESCO-ს განათლების მკვლევრებთან ერთად, იმუშავა. სწორედ მათ რეკომენდაციებსა და საერთაშორისო გამოცდილებას დაეფუძნა შესაბამისი დოკუმენტი.

რეგულაციები რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, მინისტრის ბრძანების მიხედვით, პირველ ეტაპზე, მოსწავლის სკოლაში/გაკვეთილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ყოველდღიური მონიტორინგის საფუძველზე, არაუგვიანეს მე-10 დღეს, კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სკოლის ადმინისტრაციას წარუდგინოს წერილობითი ანგარიში. დოკუმენტში გარკვევით იქნება გაწერილი მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან მუშაობის 10-დღიანი ანგარიში (გაცდენის მიზეზის დადგენა, მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის აღწერა და სხვ.). ამასთან, მთავრობის დადგენილებით, იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური პრობლემების გამო მოსწავლეს არ აქვს წვდომა „ტელესკოლასა“ და ონლაინ სწავლებაზე, მასწავლებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მასთან კომუნიკაცია ნებისმიერი, მათ შორის სატელეფონო ფორმით. ხოლო მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ითანამშრომლოს სკოლასთან. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, დისტანციური სწავლების დროს, მოსწავლე დაცულია სტატუსის შეჩერებისგან.

ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ კი პროცესში, კლასის დამრიგებელთან ერთად, განათლების სისტემის სოციალური მუშაკები ჩაერთვებიან, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელონ ოჯახში ვიზიტი. განათლების სოციალური მუშაკები, მოზარდის სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით, იმუშავებენ მოსწავლესთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან.

განათლების სისტემა ყველა კანონიერ ბერკეტს გამოიყენებს მოზარდის სასწავლო პროცესში ჩასართავად.

იმ შემთხვევაში, თუ აღწერილი ეტაპების გავლის შემდეგ, არასაპატიო მიზეზების გამო, მოსწავლე სკოლაში მაინც არ გამოცხადდა, მას მოსწავლის სტატუსი უჩერდება, თუმცა, სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მშობლის განცხადების საფუძველზე, მიმართვისთანავე.

აღსანიშნავია, რომ აქამდე მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების საფუძვლად, 90 სასწავლო დღის განმავლობაში, სკოლის ზედიზედ გაცდენა ითვლებოდა, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია და მოიცავს სასწავლო წლის ნახევარზე მეტს. აქამდე სკოლას არ ჰქონდა ვალდებულება, მოზარდის სკოლაში დასაბრუნებლად გაეტარებინა საჭირო ღონისძიებები. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე 90-დღიანი ვადის ამოწურვამდე ერთხელ მაინც გამოცხადდებოდა სკოლაში, მისთვის გაცდენების აღრიცხვა თავიდან იწყებოდა. შესაბამისად, მოზარდი მოსწავლის სტატუსით სარგებლობას აგრძელებდა იმის მიუხედავად, რომ ფაქტობრივად საგანმანათლებლო პროცესის მიღმა იყო დარჩენილი და სასწავლო პროგრამა აუთვისებელი რჩებოდა. ამასთან, სკოლას არ ჰქონდა ვალდებულება, მოსწავლის სასწავლო პროცესიდან ჩამოშორების პრევენციის მიზნით, დროულად მოეხდინა შესაბამისი რეაგირება.



# უნივერსალური ადამიანი

15 აპრილს, ლეონარდო და ვინჩის დაბადების დღეს, მსოფლიო ხელოვნების დღე აღინიშნება. ლეონარდო და ვინჩი რენესანსის ეპოქის არქიტექტორი, მათემატიკოსი, მუსიკოსი, გამომგონებელი, ინჟინერი, ანატომი, ბოტანიკოსი, მოქანდაკე, ბუნებისმეტყველი, გეოლოგი, მწერალი, კარტოგრაფი და მხატვარი იყო. „უნივერსალური ადამიანი" – ასე უწოდებენ მას, რადგან მეცნიერების თითქმის ყველა დარგში შეიტანა თავისი წვლილი.

დაიბადა 1452 წლის 15 აპრილს, ფლორენციასთან ახლოს, ანკიანოში. 1470 წელს ლეონარდო ფლორენციის მხატვართა გილდიაში გაწევრიანდა.1478 წელს ფლორენციის სინიორიამ ახალგაზრდა ლეონარდოს პალაცო ვეკიოს სან ბერნარდოს კაპელისთვის საკურთხევლის სურათის დახატვა მიანდო, ნამუშევარი ამჟამად დაკარგულია. 1481 წელს ლეონარდოს საკურთხევლის სურათის „მოგვთა თაყვანისცემის" დახატვა შეუკვეთეს. უფიცის გალერეაში დაცული ეს ნამუშევარი დაუმთავრებელი დარჩა, ვინაიდან მხატვარმა მილანის მთავრის, ლუდოვიკო მოროს მიწვევა მიიღო და საცხოვრებლად მილანში გადავიდა. სწორედ მოროს სასახლის კარზე ყოფნისას, შექმნა მან ცნობილი ფრესკა „საიდუმლო სერობა" სანტა მარია დელა გრაციას მონასტრის სატრაპეზოსთვის. იმავე პერიოდში, საინჟინრო საქმიანობას ეწეოდა და თეატრალური სანახაობების გაფორმებაზეც მუშაობდა.

✓ ლეონარდო და ვინჩის 1000-ზე მეტი ჩანახატი აქვს შესრულებული ადამიანის და ცხოველების ანატომიაზე. მისმა გამოგონებებმა 300 წლით გაუსწრო დროს – პარაშუტი, ველოსიპედი, ტანკი, გადასატანი ხიდები ჯარისთვის, პროჟექტორი, კატაპულტი, ტელესკოპი... ნორვეგიაში არსებობს ხიდი მისი პროექტით აგებული და სხვ.

✓ შავი ჭირის დიდი ეპიდემიის შემდეგ, ხელისუფლებას, შემდეგი ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად, მან მილანის წყლის სისტემის შეცვლის იდეალური გეგმა შესთავაზა, რომელიც უარყვეს. პროექტი, სრულყოფილი პარამეტრებით, დაგეგმარებით, რომლის განხორციელებაც თავის დროზე საჭიროდ არ მიიჩნიეს, საუკუნეების შემდეგ, ლონდონის ხელისუფლებამ წარმატებით გამოიყენა.



✓ ლეონარდო და ვინჩი ვეროკიოს მოწაფე იყო და „ქრისტეს ნათლობის" ხატვის დროს მას ანგელოზების დახატვა დაევალა. იმდენად კარგად შეასრულა დავალება, რომ ვეროკიომ ამის შემდეგ ხატვას საერთოდ დაანება თავი.

✓ ლეონარდოს ბოლო ნამუშევართა შორისაა „მონა ლიზას" პორტრეტი, რომელიც ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია მის ნამუშევრებს შორის.

✓ ამბობდნენ, რომ ამ ნახატზე დანტეს ბეატრიჩეა გამოსახული და ნახატს, ახლოს ნახვისას, თურმე უცნაური მაგნეტიზმი აქვს. ლეონარდო და ვინჩიმ 30-მდე დასრულებული ნახატი და უამრავი საიდუმლო დატოვა...






7 ლარი

12 ლარი




10 ლარი

9 ლარი

გამომცემლობა „ახალი განათლება" გთავაზობთ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება", ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სიახლე მარტიდან



მასწავლებლის გამოცდებისთვის
ფასი – 27 ლარი



წიგნში თავმოყრილია I-IV კლასების მასწავლებელთა კომბინირებული საგამოცდო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სახით

ფასი – 17 ლარი

ტექსტის გააზრება



15 ლარი

სწავლების ინტერაქტიური მეთოდები



10 ლარი

ქართული (I–VI) მასწავლებელთა გამოცდებისთვის


11 ლარი

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები



15 ლარი

წიგნის თარო

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის


წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა
თითო ტომის ფასი – 13 ლარი



ახალი განათლება

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
იბეჭდება სტამბა „კოლორში" კოლორ ჯგუფი მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3

ISSN 2233-386X

ფასი – 2 ლარი


რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.